პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ცენტრალურ და ტფილისის
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ᲪᲐᲙᲘᲡ ᲝᲠᲑᲐᲜᲝ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-2 სართული

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონ. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 71 ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 30 ᲛᲐᲠᲢᲘ 1923 Წ. ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲤᲐᲡᲘ 10.000 ᲛᲐᲜ. № 71

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

რუსეთის საგარეო დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებთან.

კამათი რურის საკითხის შესახებ ინგლისის თემთა პალატაში.

უნგრეთში: მეორე ინტერნაციონალის გავლენა სუსტდება.

რურის ოკუპაცია: კლარა ცეტკინის დაპატიმრება ესენში, სავაჭრო პალატის დაკავება ესენში, პუანკარეს განცხადება ოკუპაციის უშედეგობის შესახებ, რეკვიზიციები და დაპატიმრებანი დორტმუნდში, საფრანგეთის პირობები გერმანიასთან მოლაპარაკებისთვის.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, 30 მარტს, ერთიან პარტიულ დღეს დასმული იქნეს დღის წესრიგში საკითხი

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

თეზისები იხილეთ გუშინდელ ნომერში.

ტფ. კომიტეტის მდივნის მაგიერ: **რუხაძე.**

ᲜᲐᲪᲐᲓᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ამიერ-კავკასიის ერებს შორის მტკიცე და ხანგრძლივი ნაციონალური ზავი და ამ ზავის ნიადაგზე სამეურნეო და პოლიტიკური თანამშრომლობის თანდათანობითი ზრდა—უდავო ფაქტია. საბჭოთა ხელისუფლებას და მის სულის ჩამდგმელ კომუნისტურ პარტიას სრული საბუთი აქვს იამაყოს თავისი ნაციონალური პოლიტიკის შედეგებით, რომელმაც გამოიწვია სულ მოკლე ხნის წინად მომქმედი ნაციონალური მტრობის, შურიანობის და უნდობლობის ცეცხლის მფრქვეველი მთის ჩაქრობა. ცეცხლის მთა ჩაქრა და იქ, სადაც იყო ცეცხლის ფერფლი, ბარი, ჩაქუჩი და ნამგალი მოქმედობს.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნაციონალური კითხვა ჩვენ გადავჭერით საბოლოოთ? რომ ის ამოვწურეთ პოლიტიკურათ და ფსიქოლოგიურათ? რომ ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ იმის მოლოდინში, რომ პროლეტარული დიქტატურის რეჟიმი და შემდეგი რეჟიმი გაშლილი სოციალიზმისა მოსპობენ ნაციონალური უთანხმოების უკანასკნელ ნაშთებს ისე, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის რეჟიმმა მოსპო ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები?

რასაკვირველია, არა. პროლეტარული რევოლიუციის გამაცოცხლებელი ქარიშხალი მხოლოდ სწმენდს ერებს შორის ურთიერთობის სფეროს შემდეგი ევოლიუციონური განვითარებისათვის:

მთელმა თაობამ, თუ რამდენიმემ არა უნდა იმუშაოს, რომ ინტერნაციონალიზმი გახდეს ხალხის მასების ნორმალური გრძნობათ. განსაკუთრებით შეეხება ეს ჩვენს მხარეს, მისი ნაციონალური სიჭრელით, სადაც კლასობრივი მომენტები გადახლართულია ნაციონალურ მომენტთან და სადაც კიდევ ცოცხალია ტრადიცია სამივე რესპუბლიკების სისხლიანი შეტაკების.

ამით აიხსნება, რომ ყველა ჩვენს პარტიულ ყრილობებზე ამა თუ იმ სახით დღის წესრიგში დგას ნაციონალური საკითხი.

ჩვენ არ ვცვლით ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის ძირითად პლატფორმას, არ ვივიწყებთ რევოლიუციონურ შეურიგებლობას პროგრამულ საკითხებში, მაგრამ დროგამოშვებით ვსინჯავთ ჩვენს პროგრამას რ. კ. პ. „ჩვეულების" მიხედვით, ბარომეტრის სისწორით აღნიშნოს მომქმედ ძალებში მომხდარი ცვლილებები და მიზნათ ვისახავთ მხოლოდ განსახორციელებელ ამოცანებს.

ჩვენ მოვახდინეთ პირველი ასახვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის, ჩვენ ვაშენებთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების დიდებულ შენობას, რომლის ფორმები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოთ ჩამოყალიბებული.

ერთის დაკვრით ასეთ შენობებს არ აშენებენ, თუნდ მილიონ მშრომელთა ერთის გატაცებით. ხალხების ასეთი ძმური კავშირი, როგორიც არის კავშირი საბჭოთა რესპუბლიკების, არ ყალიბდება ხანგრძლივათ; მიუხედავათ კავშირის ფუძის და მიზნების სიმტკიცისა, მისი ზედნაშენი უნდა იცვლებოდეს თავის ფორმებში, ნაწილების პროპორციაში და ურთიერთობაში. მშრომელთა დიქტატურის შენარჩუნება და გამაგრება—აი უმაღლესი კანონი და ამოცანა ახლობელ და საკმაოთ ხანგრძლივ პერიოდისათვის.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია ამაგრებს ამ დიქტატურის ერთ ნაწილს სამეურნეო მხრივ, პოლიტიკურათ და ფსიქოლოგიურათ. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ამტკიცებს კლასობრივ დიქტატურას საბჭოთა ტერიტორიის მთელ მანძილზე.

მაგრამ კავშირში შესულ ერებს და ხალხებს, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, მათ მშრომელ მასებს, გარდა კლასობრივ ინტერესებისა აქვთ დამატებით, ნაციონალური ხასიათის მოთხოვნილებანი.

მაგრამ შეუძლია კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კრების ამ სპეციალურ ინტერესების საკმაოთ დაკმაყოფილება კავშირის პოლიტიკური ძალაუფლების ორგანოებს—საკავშირო ცენტრ-აღმასკომს და სახკომსაბჭოს?

გათვალისწინებულია თუ არა კავშირის მშენებლობის დროს სავსებით და მთლიანად ნაციონალური მომენტი?

აი კითხვები, რომელიც წამოაყენა ჩვენმა პარტიამ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის და ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის ყრილობებმა ყურადღებით განიხილეს ეს მორიგი პრაქტიკული კითხვები ჩვენი ნაციონალური პოლიტიკისა და დაადგინეს:

თითეული ერისათვის, თითეული ხალხისათვის, რომელიც კავშირში შედის, სპეციალური ეროვნულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა მაქსიმუმის განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა საკავშირო ცენტრალმასკომთან და სახკომსაბჭოსთან, კლასობრივი დიქტატურის ამ სპეციფიურ ორგანოებთან ერთად, შექმნა ერების წარმომადგენლობითი ორგანოსი, მეორე (უფრო სწორათ რომ ვთქვათ ქვედა) პალატის სახით.

ზოგიერთები, განსაკუთრებით კი ნაციონალისტები გაზეთ „ტრიბუნიდან" (მემარცხენე სოც.-ფედერალისტების ორგანო) ამ დადგენილებას ახასიათებენ როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ მიღებულ პირვანდელ დადგენილების რევიზიას. ასე აფასებენ, იღიმებიან და თვლიან ამას თავის „მორალურ" გამარჯვებათ.

ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია აღუთქვათ მათ კიდევ ბევრი ასეთი მორალური გამარჯვება. მშრომელთა უძლიერესი ციხე-სიმაგრის აშენების დროს ბევრჯერ დაგვჭირდება კოშკების ხელახლა აშენება.

მაგრამ საქმე ამაში არ არის.

ნაციონალისტები ცდებიან, ან გვაჩვენებენ თითქოს ცდებიან. რაზე ხმაურობდენ ნაციონალისტები? რაზე ოცნებობდენ გაზ. „ტრიბუნა" და მისი პარტია.

ძირს ამიერ-კავკასიის ფედერაცია!—აი მათი პირველი ძირითადი ლოზუნგი, რომელსაც ისინი აცხადებდენ პირობების მიხედვით, ხან ფუჩუნით, ხან ხმა მაღლა, მაგრამ ყოველთვის გადაჭრილათ და უდავოთ.

რესპუბლიკების კავშირს, რამდენათაც ის აზროვნებაში გარდუვალი და „სამწუხარო აუცილებლობა" იყო, აღიარებდენ სწორ-ფორმალური არითმეტიკული თანასწორობის საფუძველზე: კავშირის ცენტრალმასკომი უნდა შედგეს თითეული მოკავშირე რესპუბლიკიდან თანასწორ წარმომადგენლობის საფუძველზე.

ნაციონალური კურიები კლასობრივი დიქტატურის უმაღლეს ორგანოში 1923—გენუა-გააგის, ლოზანას, მსოფლიო ფაშიზმის და რურის ოკუპაციის წელს—აი აზრი ამ მოთხოვნილებისა. აშკარაა, რომ ეს უტოპიური და რეაქციონური იყო. რამდენადაც გაქრობას უქადდა ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას, რის შედეგი იყო გამარჯვება პროლეტარიატისა, რომელმაც გაიყოლია გლეხობა და წინათ დაჩაგრული ერები და არ მოატყუებია თავი თანასწორობისა და ფორმალური დემოკრატიის ფსალმუნის მაგალობელთ.

აი სად გადიოდა ჩვენი უთანხმოების ხაზი (თითქმის ღრმა უფსკრული). შეიცვალა რაიმე ამ მხრივ ჩვენი პარტიის ყრილობის შემდეგ? ამიერ-კავკასიის ფედერაცია აღიარებულია დაპყრობილ და მტკიცე გამაგრებულ პოზიციათ ამიერ-კავკასიის ერების დაახლოების, ერთად მუშაობის და შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლის საქმეში; ამიერ-კავკასიის ფედერაცია არა თუ აღიარებულია, არამედ გამაგრებულია კიდეც პარტიის რესპუბლიკანურ და საოლქო ყრილობების ერთსულოვან ვოტუმის ავტორიტეტით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ცენტრალმასკომის და სახკომსაბჭოს მეთაურობით აღიარებულია როგორც ყველა რესპუბლიკების მშრომელთა ერთი ნების შემკავშირებელი საერთო ბრძოლის და საერთო მშენებლობის მიზნით კლასობრივ დიქტატურის და სამეურნეო ცენტრალიზაციის საფუძველზე.

მეორე (ერების) პალატის შექმნა, თანასწორ წარმომადგენლობის ნიადაგზე უფრო გააძლიერებს დიქტატურის და სამეურნეო ერთიანობის ორგანოებს, რამდენადაც თავიდან აცილებს კავშირში შესულ ერებს შორის უთანხმოებას და ნაციონალურ-კულტურულ ცხოვრებასთან და ნაციონალურ თავისებურობასთან დაკავშირებულ მრავალ კითხვებს გამოყოფს და გადასცემს ერების წარმომადგენლობას.

ნაციონალიზმის დოგმატიკები და მეტაფიზიკები ვერ მიხვდებიან რევოლიუციონურ ეპოქის ცოცხალ დიალექტიკას, რომელიც არა თუ დასაშვებათ, არამედ აუცილებლათ ხდის ერების ნაციონალ-კულტურული ცხოვრების სრული დეცენტრალიზაციის და დამოუკიდებლობის პროცესს, მათი სამეურნეო, სამხედრო და სხვა ღონისძიებათა ცენტრალიზაციის პირობებში. ისინი ვერ დასძლევენ აზრს, რომ ჩვენს გახლართულებულ დროში ნაციონალური დამოუკიდებლობა არ არის და არ შეიძლება იყოს სავსებით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საბჭოთა რესპუბლიკები ნებაყოფლობით უარს ამბობენ ზოგიერთ უფლებაზე და აძლევენ მას კავშირის საერთო ორგანოს. ეს აუცილებელია. უამისოთ და ამის გარეშე ხვალ ჩვენ მოგველის დამარცხება, დაღუპვა კლასობრივ და პატარა ერების მტრების დაბრუნება.

ამავე დროს ერები, რომლებიც შედიან კავშირში და ქმნიან საბჭოთა კოოპერირობის საფუძველს, აწყობენ ორგანოს, ერების საქმეების შესახებ გაფართოებულ სახალხო კომისარიატის მზგავსათ, ნაციონალურ ტკივილების განსაკურნავად და მშრომელთა ნაციონალური კულტურის მშენებლობის მიზნით. ეს არის ნაბიჯი წინ, უფრო მტკიცე და სრული ერთობისაკენ და არა წინააღმდეგ, როგორც ფიქრობენ ან გვიჩვენებენ, თითქოს ფიქრობენ, საბჭოთა ჯიშის ნაციონალისტები. ვიმეორებ ჩვენი პარტია, რომელმაც მარქსიზმის საშუალებით შეიცნო ჯადოსან ისტორიის ყველა საიდუმლოებანი, არა ერთხელ მისცემს საშუალებას „მორალური" გამარჯვების მოტრფიალეთ კიდევ ბევრჯერ იზეიმონ ასეთი „გამარჯვებები".

ჩვენ კი, ასეთი „დამარცხების" შემდეგ განვაგრძობთ ჩვენ გზას: სწორი ნაციონალური პოლიტიკის კლასობრივ, პროლეტარულ პოლიტიკასთან შეთანხმებით გავამაგრებთ საბჭოთა კუნძულს და ვიბრძოლებთ რევოლიუციისათვის დასავლეთში და აღმოსავლეთში.

შ. ამია.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲔᲜᲘᲡ" ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ის ამბები, რომლებსაც ადგილი აქვთ საქართველოს მენშევიკურ პარტიაში ამ ბოლო დროს, იმდენად საყურადღებო არიან, რომ მათზე კვლავ შეჩერება საჭიროა.

ჩვენ ვლაპარაკობთ მენშევიკების პერსონალურ თუ კოლექტიურ განცხადებებზე, რომელნიც იბეჭდებიან ჩვენს პრესაში.

ამ განცხადებათა უმრავლესობაში დახასიათებულია მენშევიკების ბურჟუაზიული და კონტრ-რევოლიუციონური ბუნება. ნამხილებია მათი პოლიტიკა, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, როგორც გარეშე ძალით ინტერვენციის, აგრეთვე შინაური შეიარაღებული აჯანყების გზით; საბჭოთა ხელისუფლება აღიარებულია მუშების და გლეხების ინტერესების ერთად ერთ დამცველად. აქედან: მენშევიკური პარტიის ზოგიერთი წევრები, მისი მუშურ-გლეხური ელემენტები გმობენ თავიანთ პარტიას, სტოვებენ მას, იღებენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და ფიცს სდებენ იმუშაონ მუშურ-გლეხურ მთავრობასთან ხელიხელ ჩაკიდებულად და აქტიურად დაიცვან არსებული წყობილება, მუშათა კლასის დიქტატურა.

ესაა ერთი მიმართულება მენშევიკურ პარტიაში,—გზა ამ პარტიისაგან გამიჯვნის, მისი სრული უარყოფის, საბჭოთა პლატფორმის გაზიარების, რევოლიუციონურ პროლეტარიატის ოჯახში დაბრუნების.

გარდა ამისა არიან ელემენტები მენშევიკურ პარტიაში, რომელნიც ხელს იღებენ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

ისინი არჩევენ პოლიტიკური თვითმკვლელობის გზას. ჩვენ არ გამოუდგებით ასეთი ნაბიჯის მოტივების ღრუნხვას. მხოლოდ აღვნიშნავთ ასეთ მოვლენას, როგორც მენშევიკური პარტიის რღვევის მაჩვენებელს.

მაგრამ არიან მენშევიკურ პარტიაში ისეთი ელემენტები, მუშურ-გლეხური ელემენტები, რომელთაც თავისთვის მიუღებლად მიაჩნიათ ასეთი პოლიტიკური თვითმკვლელობა. მაგალითად, ჩვენი გაზეთის 28 მარტის №-ში მოთავსებულ წერილში 25 მენშევიკი აცხადებენ: „ამ ჟამად ყოველივე პოლიტიკური მოღვაწეობის გარეშე ვდგევართ, რაც სამწუხაროდ და სავალალოდ მიგვაჩნია". მათ საჭიროდ მიაჩნიათ „მუშათა კლასის ერთსულოვნება" და სურთ „საერთო ენის გამონახვა" კომუნისტებთან. ჩვენთან ერთიან ფრონტის შექნის იდეა წამოაყენა მენშევიკმა კ. გოგოლაძემ, რომლის წერილი დაიბეჭდა ჩვენ გაზეთში (№ 67). მის აზრს იზიარებენ და ემყარებიან ზევით აღნიშნული 25 მენშევიკი.

რაში მდგომარეობს ამ თვალსაზრისის დედა-აზრი?—რამდენათაც ეს ჩვენ გვესმის, დარჩენა მენშევიკებად და ამავე დროს ერთიანი ფრონტი კომუნისტებთან საბჭოთა წყობილების პირობებში.

მუშათა კლასისათვის არაფერია ისე ჰავნებელი, როგორც გაურკვევლობა და ბუნდოვანობა პოლიტიკაში.

ამიტომ საჭიროა ნათელი მოეფინოს მენშევიკების ნაწილის ამ „ახალ სიტყვას".

ჩვენ ცხადი წარმოდგენა უნდა გვქონდეს მუშათა ერთიანი ფრონტის შინაარსზე.

სულ სხვაა მუშათა ერთიანი ფრონტის აზრი და მიზანი ბურჟუაზიულ ქვეყნებში და სულ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.

ჩვენ იმ თავითვე ვიცავთ ერთიანი ფრონტის იდეას კომუნისტებსა და შემთანხმებელ პარტიებ-შორის პირველებში და უარვყოფთ მას საბჭოთა ქვეყნებში.

რევოლიუციის თვალსაზრისით ამას აქვს თავისი გამართლება.

კაპიტალიზმის სამეფოებში ჩვენ ვაყენებთ კომუნისტურ და „სოციალისტურ" პარტიების ერთიანი ფრონტის ლოზუნგს მუშათა კლასის მორიგ, კონკრეტულ ამოცანათა განსახორციელებლათ, ისეთი ამოცანების, რომლებიც სიტყვიერათ მაინც სავალდებულო და მისაღები უნდა იყოს შემთანხმებლებისათვის, როგორიცაა, მაგ., ბრძოლა სამუშაო დღის გადიდების და ხელფასის შემცირების წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ, საერთოდ კი შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიისაგან თავდასაცავად.

დარაზმვა მთელ მუშათა მასის ამ მორიგ ამოცანათა განხორციელების მიზნით არა მნიშვნელოვანია თავის თავად, არამედ ამ ნიადაგზე მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნა უკვე არის პროლეტარიატის ჩაბმა საერთო რევოლიუციონურ ბრძოლაში, რომელსაც საბოლოო ანგარიშით უნდა მოჰყვეს ბურჟუაზიული წყობილების დამსხვრევა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ერთხელ მოძრაობაში მოსული და ბრძოლაში ჩაბმული მუშათა კლასი მივა ბრძოლამდე, მას მაშინ ვერ შეაჩერებენ ვერც მისი შემაკავებელი და უკან დამხევი შემთანხმებლები.

ამგვარად, მუშათა ერთიანი ფრონტი, უფრო ვიწროდ: ერთიანი ფრონტი კომუნისტებსა და „შემთანხმებლებ შორის კაპიტალიზმის ქვეყნებში, თუ ის იქმნა მიღწეული, დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული, მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლის გზაზე. არსებითად ეს იქნება მთელი მუშათა კლასის თავმოყრა კომუნისტების და რევოლიუციონურ პროლეტარიატის გარშემო.

სულ სხვა მდგომარეობაა იქ, სადაც მუშათა კლასმა გამოჰგლიჯა ხელთ იგდო ძალა-უფლება. ასეთია საბჭოთა რესპუბლიკები. აქ ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ერთიან ფრონტს მენშევიკებსა და ყველა სხვა შემთანხმებლებთან, ხოლო ვიცავთ მას მთელ მუშათა კლასთან.

ის მიზანი,—ბურჟუაზიის დამხობა, რომლისათვის ჩვენ მოვითხოვთ კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთიან ფრონტს, ჩვენში მიღწეულია, წინააღმდეგ მენშევიკების ნებისა. ეს უკანასკნელნი დღეს ცდილობენ ისევ აღადგინონ ბურჟუაზიულ დემოკრატიული წყობილება. და ასეთ პირობებში კომუნისტების ერთიანი ფრონტი მათთან იქნებოდა უდიდესი უკანდახევა, რევოლიუციის მონაპოვარზე ხელის აღება.

რამდენადაც მენშევიზმი, როგორც ასეთი, ცალიერი სიტყვა არ არის, არამედ მატარებელია განსაზღვრული პროგრამის და ტაქტიკის, მის მიერ საერთო ენა კომუნიზმთან გამარჯვებულ მუშათა კლასის სამეფოში შეუძლებელია.

შეიძლება მენშევიზმმა, გარკვეული ობიექტიური ფაქტების გამო, უკან დაიხიოს, შეიძლება ის შეეცადოს შეეგუოს საბჭოთა ხელისუფლებას, ეს იქნება მანევრი, რათა „მშვიდობიანი" გზით შეაპაროს საბჭოთა სისტემაში თავისი „დემოკრატიული" ჩვეულებანი და ტრადიციები.

ხოლო რამდენადაც მენშევიკები მოისურვებენ პროლეტარიატის დიქტატურის ნამდვილად განმტკიცებას, შეითვისებენ საბჭოთა ხელისუფლების შინაარსს და მოქმედების მეთოდებს, იმდენად ისინი სწყვეტენ ყოველგვარ კავშირს მენშევიზმთან, იმდენად ისინი უკვე აღარ არიან მენშევიკები.

ასე რომ მენშევიკად დარჩენა და ამავე დროს ერთიანი ფრონტის შექმნა კომუნისტებთან შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას და უაზრობას.

მოქ. კ გოგოლაძის და 25 მენშევიკის განცხადება ჩვენ ისე გვესმის, რომ ისინი იმყოფებიან თვითგამორკვევის პროცესში, ახდენენ მენშევიზმის რევიზიას, მაგრამ ჯერ ვერ მისულან საბოლოო დასკვნამდე.

მენშევიკურ პარტიიდან ვინც მართლა მოწადინებულია კომუნისტებთან საერთო ენის გამონახვას, საბჭოთა ხელისუფლებასთან პოლიტიკურ თანამშრომლობას, მუშათა კლასის და პროლეტარულ რევოლიუციის სამსახურს, მან ერთად ერთი დასკვნა უნდა გააკეთოს: ესაა სრული უარყოფა მენშევიზმის მსოფლმხედველობის და ტაქტიკის. სხვა გზა არ არსებობს.

ბ. ჭ.

ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

ᲐᲛᲮ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

ბიულეტენი № 12.

მოსკოვი. 28 მარტი. ტემპერატურა—38°, პულსი—110, სუნთქვა—28. სიცხის მომატება დამოკიდებულია საჭმლის მომნელებელ სისტემის უწესო მოქმედებაზე. ფილტვების და სხვა შინაგან ორგანოების მხრივ არავითარი ცვლილება არ ემჩნევა.

1923 წ.—23 მარტი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფორსტერი, ბუმკე, კრამერი.**

პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

ᲠᲣᲠᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ

სავაჭრო პალატის დაკავება.

მოსკოვი. 29 მარტი. ესსენის სავაჭრო პალატა ხელ-ახლა დაიკავა ფრანგების ხელისუფლებამ.

მემაღაროეთა გაფიცვა.

მოსკოვი. 29 მარტი. კონკორდის მაღაროების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა: მაღაროები დაიკავეს საფრანგეთის ჯარის-კაცებმა, რის გამო მუშებმა სრულიად შესწყვიტეს მუშაობა და არ მოისურვეს გაფიცვის მოხსნა მიუხედავათ იმისა, რომ ფაბრიკის კომიტეტსა ერთის მხრივ და მაღაროს დირექტორსა და ფრანგებს შორის მეორეს მხრივ მიღწეული იყო შეთანხმება.

აფართოვებენ საბაჟო კორდონს.

ბერლინი. 29 მარტი. გენერალ დეგუტმა გასცა საიდუმლო ბრძანება საბაჟო ბლოკადის ახალ გაფართოების შესახებ, რომლის ხაზი გაგრძელებულ უნდა იქნას კიდევ 9 კილომეტრით.

რატუშის დარბევა.

ბერლინი, 29 მარტი. გერნაში საოკუპაციო ხელისუფლებამ სავსებით დაანგრია რატუშის შენობა. ზარალი უდრის მილიონებს.

დაპატიმრებანი და რეკვიზიცია

ბერლინი. 29 მარტი. დორტმუნდში ოკუპანტებმა ხელახლად მოახდინეს გაჩხრეკა გერმანიის სამოქალაქო შენობებში, მოახდინეს მრავალი დაპატიმრებანი და ხელში ჩაიგდეს ფოსტაში ყველა მარკები, რომლებიც გამოშვებული იყო რურის მოსახლეობის სასარგებლოთ. ესენში ოკუპანტებმა დაიკავეს სავაჭრო პალატის შენობა.

ოკუპანტების წინააღმდეგ

ბერლინი. 29 მარტი. გელზენკირხენში კომუნისტების გამოსვლებთან ერთად მოხდა აგრეთვე გამოსვლები ესენში და დორტმუნდში.

გენერალ დეგუტის განცხადება

პარიზი. 29 მარტი. გენერალ დეგუტმა განაცხადა, რომ გერმანიის დამცველ პოლიციამ დაკავებულ ოლქებში იარაღი უნდა ჩააბაროს საფრანგეთის ხელისუფლებას; პოლიციის აგენტები კი გადასახლებულ იქნებიან,

თავდასხმა სმიტსზე

ბერლინი. 29 მარტი. რეინის სეპარატისტ სმიტსზე თავდასხმის საქმის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მთავარი დამნაშავე დეკმანიც ეკუთვნოდა აგრეთვე ერთ ერთ რეინლანდის სეპარატისტულ ორგანიზაციას, რომელიც ეჯიბრებოდა სმიტსის ჯგუფს.

სასიამოვნო ცნობა

ბერლინი. 29 მარტი. ინგლისის მთავრობამ განსაკუთრებულ ნოტით აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ ბრიტანეთის საოკუპაციო ზონაში მდებარე რკინის გზები გადავიდა ფრანგების ხელში.

ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

იღებენ ხელს.

ბერლინი. 29 მარტი. ინგლისის, ბელგიის და ამერიკის დელეგატები საკონტრიბუციო კომისიაში აღიარებენ, რომ გერმანიის ოქროს სესხი არ ჩაითვალოს გერმანიის ხაზინის შემოსავლათ.

უნებლიეთ აღიარა.

ბერლინი. 29 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში პუანკარემ განაცხადა, რომ სხვა და სხვა დაბრკოლებათა გამო რურის ოკუპაციამ ვერ მიაღწია განსაკუთრებულ ეკონომიურ შედეგებს და მხოლოთ ხანგრძლივი და ურყევი მოქმედებით შესაძლებელია განხორციელდეს დაკავებულ ოლქების ექსპლოატაცია. პუანკარეს განცხადებით საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობები ერთ და იმავე აზრის არიან იმის შესახებ, რომ ოკუპაცია უნდა გაგრძელდეს, სანამ კონტრიბუცია სავსებით არ იქნება შესრულებული.

კრედიტი ოკუპაციისათვის.

ბერლინი. 29 მარტი. საფინანსო კომისიამ ხმის უმრავლესობით დაადგინა მისცეს მთავრობას კრედიტი რომელსაც ის მოითხოვს რურის ოკუპაციის საჭიროებისათვის.

ყველაფერი თავის რიგზე არ არის.

ბერლინი. 29 მარტი. იტალიის პრესის აზრით საფრანგეთის და ბელგიის ინტერესები რურში ერთმანეთის წინააღმდეგებიან და შემდეგშიც ეს წინააღმდეგობა უფრო მწვავეთ წამოყოფს თავს.

ამერიკელი ბანკირი გერმანიაში.

ბერლინი 29 მარტი. რომიდან იტყობინებიან, რომ სტინესსა და ამერიკის ფინანსისტებს და მრეწველებს შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რამოდენიმე დღის შემდეგ ბერლინში ჩამოვა ამერიკის ბანკების ტრესტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბუსი ამერიკელ ფინანსისტების კომისიით და გაემგზავრება რურში მდგომარეობის გამოსარკვევათ.

საფრანგეთის პირობები.

პარიზი 29 მარტი. იხილავს რა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის როზენბერგის რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიაში გამოსვლას, „ტანი" სწერს: „საფრანგეთის პრესას არა ერთხელ განუცხადებია, რომ არავითარი წინადადება გერმანიისა არ შეიძლება მიღებულ იქმნას მხედველობაში, სანამ ის თავს არ დაანებებს დაკავებულ ოლქებში პასიურ წინააღმდეგობის პოლიტიკას.

„როტე ფანე" კუნოს სიტყვის შესახებ:

პარიზი 29 მარტი. არჩევს რა კანცლერ კუნოს მიერ მიუნხენში წარმოთქმულ სიტყვას, „როტე ფანე" ამბობს: „კანცლერ კუნოს გაურკვეველ განცხადებას არ ექნება არავითარი გასავალი და აიხსნება მხოლოდ მისი შიშით ანტანტასთან და პუანკარესთან შეთანხმების უდროოვოთ ჩაშლის შესაძლებლობის წინაშე.

ინგლისის უყურადღებობა.

ლონდონი 24 მარტი. რურის საკითხში ინგლისის პოლიტიკის განხილვის დროს თემთა პალატაში ასკვიტმა დაახასიათა ეს პოლიტიკა როგორც კეთილმსურველი უყურადღებობა. ბონარლოუს მაგივრად გამოსულმა ბალდუინმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ვერ დაეთანხმება რურის ოლქში მოქმედების შესახებ ფრანგების განმარტებას. და ამასთან დაუმატა, რომ ინგლისის მთავრობას ორი წლის წინეთ ქონდა გათვალისწინებული ეს მოქმედებანი.

ამერიკის ოკუპაციის ანაზღაურება.

ლონდონი. 29 მარტი. პარიზიდან მოსულ ცნობების თანახმად მიღწეულია შეთანხმება ამერიკის ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელიც მან გამოიღო რურის ოკუპაციისათვის. პირველ ოთხი წლის განმავლობაში.

ამერიკა მიიღებს გერმანიის გადასახადებიდან არა უმეტეს 25 პროც. მთელი გადასახდელი თანხა უდრის ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგს.

განაგრძობენ პასიურ წინააღმდეგობას.

ბერლინი. 29 მარტი. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიამ, გარეშე საქმეთა მინისტრის ფონ-როზენბერგის სიტყვის შემდეგ, უარყო საფრანგეთის მოთხოვნილება გერმანიის კაპიტულიაციის შესახებ და გადასწყვიტა განაგრძოს პასიური წინააღმდეგობა საკონტრიბუციო საკითხის საერთაშორისო გადაჭრამდე და ოკუპაციის სავსებით შეჩერებამდე.

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲠᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲗᲔᲛᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ

გრეის შეკითხვა.

ლონდონი 29 მარტი. ნაციონალ-ლიბერალმა ედვარდ-გრეიმ შეიტანა თემთა პალატაში შეკითხვა რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ. შეკითხვის შეტანის დროს მან სთქვა: „ოკუპაცია ძალიან დიდ გავლენას ახდენს ინგლისის მრეწველობაზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისის მთავრობა გადასდგამს ნაბიჯებს, რათა უკეთესი პირობები მოუპოვოს ინგლისის ექსპორტს რურში. სანამ ოკუპაცია არ დამთავრდება და არ იქნება შემუშავებული მთავრობის ახალი პოლიტიკა ამ საკითხში, ინგლისის ვაჭრობა არასოდეს არ იქნება აღდგენილი. შემდეგ გრეიმ განაცხადა, რომ გერმანიამ სავსებით შეასრულა ვერსალის ხელშეკრულების მოთხოვნილებანი და ამ ჟამად იგი სავსებით განიარაღებულია, გრეის აზრით, საკონტრიბუციო საკითხში არ არის წინააღმდეგობა საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების შორის, მაგრამ კონტრიბუცია არ შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთის პოლიტიკის საფუძვლად. მაგრამ საფრანგეთი მისდევს ახალ პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება ცდაში, ჩამოგლიჯოს გერმანიას ტერიტორიის ერთი ნაწილი. თუ საფრანგეთი განაგრძობს ასეთ პოლიტიკას, ეს იმას მოასწავებს, რომ ის ჩაერევა გერმანიის შინაურ საქმეებში. და სამუდა-

ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

1923 წლის 28 მარტს ნაძალადევის თეატრში შესდგა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშათა—რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების) პარტიის ყოფილ წევრთა კრება, რომელზედაც პირდაპირ იყო დაყენებული საკითხი არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურის პირობებში მსოფლიოს მასშტაბით და, კერძოთ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში მუშაობის შესახებ. სულ უფრო და უფრო გაფართოვებული რევოლიუციონური მოძრაობა მუშათა კლასისა დედამიწის უშორეს კუთხეებზე ვრცელდება და აწარმოებს ბრძოლას მტაცებელ კაპიტალისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. ყველაზე უფრო აქტიურ მონაწილეობას ამ ბრძოლის ხელმძღვანელობაში მე 3 ინტერნაციონალი იღებს. ბრძოლა სწარმოებს არა თანასწორ პირობებში. რუსეთის ფედერაციამ განიცადა სამოქალაქო ომი. მძიმე ფაზისი უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ. ის სრულიად დალარიბდა დასავლეთის „კეთილმოქმედთ" მოხებით, დაწყებული „ამაყ ალბიონის" კულტურულ შვილებისაგან და გათავებული მალაიას კუნძულთა და ოდესღაც დიდებულ ინდოეთის მივიწყებულ და ბნელ მცხოვრებლებით. რუსეთის ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარე საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანები მძლავრათ უკარნახებენ საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატს გაუწოდოს თავისი ძლიერი ხელი მსოფლიოს პროლეტარიატს მსოფლიო ბანდიტების, პუანკარეების წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლათ. რევოლიუციონურ ბრძოლის ფრონტზე ასეთ მდგომარეობაში მსოფლიო ბრძოლის პასიურ მაყურებლათ ყოფნა უბრალო რევოლიუციონერის თვალსაზრისით ბოროტ-მოქმედება იქნებოდა, ვინაიდან საქმე შეეხება მსოფლიო პროლეტარიატის მთელს მომავალს. ჩვენ, ძველი რევოლიუციონერები აღვნიშნავთ, რომ განცალკევებულით მოქმედებით, ჩვენ ვასუსტებთ მუშათა კლასის ფრონტს და ვაძლიერებთ მუშათა კლასის და, მაშასადამე მუშურ-გლეხურ რესპუბლიკების ფედერაციის უბოროტეს მტრის ბანაკს. ფაშისტურათ განწყობილ ბანდების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის საკითხში, კრებაზე გამოსულმა ორატორებმა ერთსულოვნათ გამოსთქვეს ერთსულოვნება მომავალ ბრძოლის საწარმოებლათ და რევოლიუციის სათავეში მდგომ ძმურ კომუნისტურ პარტიასთან ხელიხელ ჩაკიდებულ მუშაობის სასურველობა. ძველი ცოდვები მონანებული უნდა იქნან, რადგან რევოლიუციონერ მოძრაობის ცენტრებისაგან მოწყვეტილია და ჟორდანია—ვეშაპელის შოვინისტურ ტენდენციებით გარემოცულ ყოფილ წევრებს რ. ს. დ. ძ—სა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიისა, თვით ცხოვრების პირობები აიძულებდენ მექანიკურათ თავი დაენებებიათ რევოლიუციონურ მუშაობისათვის. ჩვენ, რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშებს იმედი გვაქვს, რომ დღევანდელი კრება იქნება გზა და ხიდათ ძმურ კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციისაკენ.

სიტყვების დამთავრების შემდეგ გამოტანილია შემდეგი რეზოლიუცია.

მთავარ სახელოსნოების მუშების საერთო კრებაზე, რომელზედაც დაესწრენ რ. ს. დ. მ. პ. და საქართველოს ს-დემოკრ. პარტიის, ყოფილი წევრები რომლებიც პარტიაში ითვლებოდენ, 900 წლიდან, განხილულ იქნა ყოველმხრივ საკითხი მუშათა კლასის ბრძოლისა, რომელიც მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მიმართული იყო რუსეთის თვითმპყრობელობის მტაცებლური იმპერიალიზმის, ამ სავსებით გახრწნილ პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთს სწოვდა მუშათა კლასს და რომელიც აღგავა პირისაგან მიწისა დიადმა მუშათა და გლეხთა რევოლიუციამ. ამ რევოლიუციამ მიგვიყვანა დიად მიზნამდე—მუშათა და გლეხთა საბჭოს მშრომელთა დეპუტატების ხელისუფლებამდე. იმ იდეალის მიღწევას რომელიც წინად გვეჩვენებოდა ილუზიად, განუხორციელებელ ოცნებათ, მოწმობს პროლეტარული დიქტატურის არსებობის ფაქტი. ვტოვებთ რ. ს. დ. მ. პარტიას და საქართველოს დრო მოჭმული სოც. დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის რიგებს და ვსწყვეტთ მათთან ყოველივე კავშირს.

შექმნილ პირობებში მუშათა კლასის ხსნა შეუძლია მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ატარებს საბჭოთა იდეებს და შრომის ხელისუფლებას და რომელსაც მივყავართ ჩვენ საბოლოო მიზნის-სოციალიზმისაკენ.

გაუმარჯოს მსოფლიოს მუშათა კლასს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც ატარებს სოციალიზმის იდეებს და იცავს ჩაგრულთა ინტერესებს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის დიად ბელადს **ამხ. ლენინს** და **მსოფლიო რევოლიუციის შტაბს—კომუნისტურ ინტერნაციონალს.**

ხელს ვაწერთ:

1. გნოევოი პეტრე 1903 წ.
2. დოცენკო ივანე 1905 წ.
3. ნიუკინი მიხეილ 1900 წ.
4. ნიკოლაიშვილი ფ. 1903 წ.
5. ბუნტური ალექს. 1907 წ.
6. კაჭახიძე გერას. 1900 წ.
7. ჯავახაძე სევ. 1903.
8. გვაზერიძე ნესტ. 1900 წ.
9. სულხანოვი ივანე 1905 წ.
10. ლელუაშვილი 1918 წ.
11. პაპაიანცი ქრისტეფორე 1905 წ.
12. შილაკაძე ტარასი 1902 წ.
13. ბერიაშვილი ვას. 1918 წ.
14. ხიზრიალაშვილი ივანე 1897 წ.
15. მელნიკოვი ლუკა 1904 წ.
16. მეტრეველი ალექსი 1900 წ.
17. მაისურაძე ექვთიმე 1897 წ.
18. სტვილია ვასილ 1905 წ.
19. პასტუხოვი ანდრია 1902 წ.
20. კვერნაძე ვასილ 1900 წ.
21. გეგენავა პლატონი 1898 წ.
22. მინდიაშვილი ვას. 1898 წ.
23. არჩვაძე ზაქარია 1900 წ.
24. ნუცუბიძე ვუკოლი 1906 წ.
25. ბუჯიაშვილი ილია 1917 წ.
26. ცურცუმია მელიტონი 1904 წ.
27. სტვილია ივანე 1909 წ.
28. სუხიაშვილი მიხ. 1905 წ.
29. გოგიძე გიორგი 1905 წ.
30. კაციაშვილი ნიკ. 1919 წ.
31. ლაპკინი მიხეილ 1901 წ.
32. მორჩიცი ფელიქს 1904 წ.
33. განზე ვოლდემარი 1904 წ.
34. სტეპანენკო ივანე 1901 წ.
35. კოლაძე იოსები 1905 წ.
36. გუბაშვილი ალექ. 1917 წ.
37. კუდრიავცევი ალექ. 1902 წ.
38. ბალიანცი მკრტიჩი 1917 წ.
39. შალამბერიძე რაჟ. 1904 წ.
40. თათრაძე ილია 1900 წ.
41. გულიაშვილი პავ. 1905 წ.
42. მერაბიშვილი არშაკი 1910 წ.
43. ასატუროვი მიხ 1904 წ.
44. იაკობიძე გაბრიელ 1905 წ.
45. ხუციშვილი დავითი 1906 წ.
46. ვაშაკიძე ანტონი 1904 წ.
47. ვაშაკიძე ფილიპე 1899 წ.
48. სარტანია ექვთიმე 1898 წ.
49. გრაჩევი თედორე 1902 წ.
50. ქორიძე ნიკოლოზ 1901 წ.
51. ქორიძე ივანე 1901 წ.
52. ბატონისაშვილი დავ. 1902 წ.
53. ბერიძე სერაპიონ 1901 წ.
54. შოლოკაძე ილია 1901 წ.
55. აღდგომელაშვილი ალექს. 1918 წ.
56. მაისურაძე გიორგი 1900 წ.
57. ბუაძე ისიდორე 1896 წ.
58. ბაკურია გრიგოლი 1905 წ.
59. ხარაძე გრიგოლი 1917 წ.
60. საგარეიშვილი ვლადიმერი 1917 წ.
61. ლესურაშვილი პავლე 1900 წ.
62. ხუნდაძე მიხეილ 1904 წ.
63. ფრანგიშვილი გიორგი 1917 წ.
64. კრსაულიძე ვასილი 1900 წ.
65. მელქაძე პორფილე 1907 წ.
66. ჯაბაშვილი გიორგი 1904 წ.
67. ელიაშვილი ანდრია 1900 წ.
68. ტორიკაშვილი იაგორ 1899 წ.
69. პატარკაციშვილი იაგორ 1904 წ.
70. ჭანტურია კირილე 1903 წ.
71. ნაფეტვარიძე რაფ. 1903 წ.
72. კოპატაძე მიხეილ 1904 წ.
73. ანთიძე გრიგოლი 1903 წ.
74. დემიანოვი დიმიტრი 1901 წ.
75. რამიშვილი გიორგი 1901 წ.

კრების დასრულებისას ამხ. ვლ. ქავთარაძემ კომპარტიის სახელით უსურვა დამსწრეთ, რომ დღევანდელი კრება მართლაც ყოფილიყო მთავარ სახელოსნოების მუშათა გაერთიანების თავდებათ კომუნისტურ პარტიის დროშის ქვეშ საერთო ბრძოლისათვის შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის, მის დამქაშების, ფაშისტებისა და თეთრ და ყვითელ ბანაკიდან გამოსულ მტრების წინააღმდეგ. აკოცა რა გნოევოს, როგორც მენშევიკების ძველ პარტიულ მუშაკს, მან გამოსთქვა იმედი, რომ დღევანდელი სხდომა უჩვენებს მაგალითს ჯერ კიდევ დარჩენილ და გზა დაბნეულ ამხანაგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდ შეზღუდავს მის სუვერენობას, ხოლო ეს თავის მხრივ სულ ახლო მომავალში ახალ აფეთქებას გამოიწვევს. ყველაფერი ეს კი ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას". გრეგმა წინადადება მისცა ინგლისის, მთავრობას შეკითხვა გაეგზავნოს ამის გამო ყველა სახელმწიფოებს.

ვარინგტონ-ევანსის სიტყვა.

შემდეგ ვარტინგტონ ევანსი აღნიშნავდა, რომ საჭიროა თავიდან ავიშოროთ საფრანგეთის ეჭვიანობა. მან სთქვა: „იჭვისათვის არავითარი საფუძველი არ არის. საფრანგეთი ფიქრობს, რომ ჩვენ კონტრიბუციების მიღების გზაზე ვდგევართ. მაგრამ ეს არ არის მართალი, პირიქით ინგლისი მზად იყო მხარი დაეჭირა ყოველ პრაქტიკულ წინადადებისათვის ამ საკითხში. საფრანგეთი ფიქრობს, რომ ჩვენ წავართვით მას უშიშროების გარანტია, ჩვენ ეს არ ჩაგვიდენია". ვარინგტონის აზრით, საჭიროა ხელახალა დაიწყოს მოლაპარაკება საკონტრიბუციო საკითხში, რისთვისაც ის აძლევს წინადადებას ინგლისის მთავრობას გადასდგას სათანადო ნაბიჯები.

ასკვიტის განცხადება.

ასკვიტმა განაცხადა, რომ მისი აზრით, საფრანგეთმა მიიღო უშიშროების საკმაო გარანტიები. ვერსალის ხელშეკრულების მუხლებში ეს ხელშეკრულება უკრძალავს გერმანიას რეინის მარცხენა ნაპირებზე სიმაგრეების აშენებას და სამხედრო ძალებისათვის დროებით ან მუდმივად თავის მოყრას სამხედრო მანევრების მიზნით. ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებს, რომ თუ გერმანია დაარღვევს ამ დადგენილებას, ეს იქნება მტრული აქტი არა მარტო საფრანგეთის მიმართ, არამედ ყველა იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთაც ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას.

მაკდონალდის განცხადება.

ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა განაცხადა, რომ მისი აზრით ინგლისის მთავრობა უნდა შეეკითხოს საფრანგეთს, როგორია მისი პოლიტიკა და რისი მიღწევა სურს მას მუდმივი ოკუპაციით.

მთავრობის პასუხი.

ბონარ ლოუს არ ყოფნის გამო, მთავრობის სახელით ხაზინის ლორდკანცლერმა ბალდუინმა სთქვა: „მთავარი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ღრმა და გარდუვალი წინააღმდეგობა არსებობს ჩვენსა და ჩვენ მოკავშირეების შორის იმ პოლიტიკის საკითხში, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ. საფრანგეთი აკეთებს და ფიქრობს განაგრძოს ის, რასაც ჩვენ ჯერ კიდევ ორი წლის წინად გაურბოდით. გარდა ამისა საფრანგეთმა დაამტკიცა, რომ მას არა სურს მიიღოს რაიმე შუამავლობა და საფრანგეთის ასეთი პოზიცია, ხურავენ კარებს მიღწეულ იქნას ამა თუ იმ საშუალებით რაიმე შეთანხმება". დასკვნაში ბალდუინმა გამოსთქვა რწმენა, რომ მოვა დრო, როდესაც ინგლისის შუამავლობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. „ჩვენ შევინარჩუნეთ მოკავშირეების მეგობრობა და ნდობა, სთქვა ბალდუინმა, და მე ვფიქრობ, რომ გერმანია ხელახლა მიიღებს ჩვენ შუამავლობას, როდესაც ამისათვის შესაფერი დრო დადგება. ეს უნდა გვამშვიდებდეს ჩვენ და არაფრის გზით არ უნდა დავსთმოთ ერთხელვე დაჭერილი პოზიცია".

გერმანიის ამბები

კომუნისტების ხელმძღვანელობით.

ბერლინი. 29 მარტი. საქსონიაში უმუშევართა დემონსტრაციები გაიმართა. დემონსტრაციას ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები, საქსონიის კომუნისტური პრესა რეაქციასთან ბრძოლისაკენ მოუწოდებს ხალხს.

იწონებენ სევერინგის პოლიტიკას

ბერლინი. 29 მარტი. გუშინდელ სხდომაზე პრუსიის კაბინეტმა, საგარეო და შინაგან მდგომარეობასთან დაკავშირებით, ერთხმათ მოიწონა პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის სევერინგის ღონისძიებანი სახალხო თავისუფლების ტევტონთა პარტიის წინააღმდეგ.

კლარა ცეტკინის დაპატიმრება.

მოსკოვი. 29 მარტი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ესსენში ფრანგების ხელისუფლებამ დააპატიმრა კლარა ცეტკინი, რომელმაც იქ გაიარა.

ტევტონთა პარტიის დარბევა.

მოსკოვი. 29 მარტი. პრუსიის კაბინეტმა დასტური მისცა ზევერინგის განზრახვას ტევტონთა თავისუფლების პარტიის წინააღმდეგ მიღებულ ზომების შესახებ. პრუსიაში და ტიურენგიაში დაიხურა ამ პარტიის ყველა ორგანიზაციები.

მაღაროების ადმინისტრაცია აწარმოებს შეთანხმების პოლიტიკას.

მოსკოვი. 24 მარტი. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს მაღაროების ადმინისტრაციის შეთანხმების ფაქტს ფრანგებთან. მუშათა დელეგაცია გაემგზავრა მიუნსტერში ნახშირის კომისარს გამოუცხადონ პროტესტი ადმინისტრაციის მოქმედების წინააღმდეგ

სტინესი რომში.

მოსკოვი. 29 მარტი. გერმანიის პოლიტიკური წრეები მეტად დაინტერესებულნი არიან სტინესის რომში გამგზავრებით. სავაჭრო პალატების საერთაშორისო კონგრესზე რომში სტინესმა გააკეთა მოხსენება და გამოსთქვა გერმანიის შეხედულება სარეპარაციო საკითხებისა და დაარსებულ ოლქების აღდგენის შესახებ. სტინესი აწარმოებს მოლაპარაკებას ამერიკის დელეგატებთან და ჩრდილო-ამერიკის ფოლადის ტრესტის თავმჯდომარესთან. დიდი სენსაცია გამოიწვია გერმანიის ეხლანდელ მდგომარეობისა, რურის პრობლემის და რუსეთ-გერმანიის სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ სტინესის მოლაპარაკებამ იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალურ სეკრეტარიატთან. სტინესი მიიღო აგრეთვე პაპის სტატს-სეკრეტარმა კარდინალ გასპარიმ და გერმანიის ელჩმა რომში ნეირატმა. როგორც ხმები დადის, სტინესს დაბრუნებისას განზრახული აქვს ჩავიდეს მილანში მუსოლინთან უშუალოთ მოსალაპარაკებლათ.

გერმანიის ექსპონატების გაყიდვა.

ბერლინი. 29 მარტი. გერმანიის საზოგადოებრივი აზრი ფრიად აღელვებულია ლიონიდან მოსულ ცნობებით, რომ იქ დაიწყო ექსპონატების საჭირო გაყიდვა. ექსპონატები გაგზავნილი იყო ლიონის ბაზარზე ქალაქ ლიონის მოწოდების თანახმად გერმანიის დაწესებულებებისა და კერძო პირების მიერ. გერმანიის პრესა ხედავს ამ გაყიდვაში გარკვეულ პოლიტიკურ ნაბიჯს.

ახლო აღმოსავლეთში

ანგორა. 25 მარტი. 23 მარტს ყარსში ამხანაგი მიროვიჩის გამგზავრებისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ახალ კონსულის ამხანაგი თუმანოვის ჩამოსვლის გამო ადგილობრივმა ქალაქის გამგეობამ ბანკეტი გამართა. ბანკეტს დაესწრნენ საზოგადოებრივ, სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სიტყვები წარმოსთქვეს ქალაქის თავმა და სხვ. რომლებმაც აღნიშნეს რუსეთის და ოსმალეთის შორის ყველა საკითხების მშვიდობიანათ მოგვარება და ამ ქვეყნების კეთილი ურთიერთ განწყობილება. ერთმა ორატორმა რუშდი-ფაშამ სთქვა: „რუსეთმა ხელი გაუწოდა ოსმალეთს უკანასკნელისათვის კრიტიკულ წუთში და ამიტომ ოსმალეთი არას დროს არ დაივიწყებს ამ მეგობრულათ გამოწვდილ ხელს". ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვები ოსმალეთის ეროვნულ ჰიმნისა და „ინტერნაციონალის" სიმღერით თავდებოდა. ამხ. ამხ. მიროვიჩმა და თუმანოვმა საპასუხო სიტყვაში მადლობა გამოსთქვეს მეგობრულ შეხვედრისათვის.

მოკავშირეების პასუხის განხილვა.

პარიზი 29 მარტი. გაზ. „პტი პარიზენის" მიერ სტამბოლიდან მიღებულ ცნობის მიხედვით, ანგორაში შედგა კომისართა საბჭოს სხდომა ქემალ-ფაშას მონაწილეობით, სხდომაზე ირჩეოდა მოკავშირეთა პასუხის ტექსტი საიდანაც ჩანს, რომ მათ არ სურთ მიიღონ ოსმალეთის აზრი „იურიდიულ გარანტიების" და სტამბოლისა და სრუტეების ევაკუაციის შესახებ.

ოსმალეთის პრესა უკმაყოფილოა.

ბერლინი. 29 მარტი. ოსმალეთის პრესა დიდ უკმაყოფილებას აცხადებს მოკავშირეების მიერ ოსმალეთის კონტრ-წინადადებების არ მიღების გამო.

ისევ კონფერენცია.

ბერლინი. 29 მარტი. იუწყებიან, რომ მოკავშირეები თავის პასუხში ოსმალეთის კონტრ წინადადებებზე წინადადებას აძლევენ ოსმალეთს აპრილის შუა რიცხვებში განაახლონ კონფერენცია ლოზანაში.

ძველებურად.

ლონდონი. 29 მარტი. ლონდონის თათბირის შედეგების მიხედვით, მოკავშირეთა ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდი, რომ ეკონომიური და იურიდიული რეჟიმი უცხოელებისათვის ოსმალეთში მიღებული უნდა იქმნეს მოკავშირეების პროექტის მიხედვით და არავითარი ლაპარაკი საბერძნეთის მიერ ოსმალეთისათვის კონტრიბუციის მიცემას შესახებ არ შეიძლება.

„საერთო ხასიათის მოსაზრებები.

რომი. 29 მარტი. ლონდონის თათბირის დადგენილების თანახმად მოკავშირეთა ნოტაში ოსმალეთის მიმართ არ იქნება ვრცელი გარჩევა ოსმალეთის კონტრ-წინადადებებისა. ნოტაში მოყვანილი იქნება მხოლოდ საერთო ხასიათის მოსაზრებები ტერიტორიულ, ეკონომიურ და იურიდიული პუნქტების შესახებ. ნოტა დამთავრდება წინადადებით ზავის ჩამოსაგდებათ მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

ყურადღება ადგილობრივ ცხოვრებისადმი.

ანგორა. 26 მარტი. ანატოლიის პრესა იწვევს ადგილობრივი ცხოვრების საკითხებისადმი დიდი ყურადღების მიქცევას. სამსუნის გაზეთი „ახალი" ილაშქრებს უცხოელებისათვის ელექტრონის ვანათებაზე კონცესიების მიცემის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ უცხოეთის კაპიტალისტებს უფრო მეტი ზიანი მოაქვთ ოსმალეთისათვის ვიდრე სარგებლობა. გაზ. „ხეიათი" მიუთითებს ეკონომიური კონგრესის მიწის მუშების შესახებ დადგენილებების ცხოვრებაში დაჩქარებით გატარების აუცილებლობაზე და ხაზს უსვამს მიწის მუშების როლს და მნიშვნელობას სახელმწიფოს ცხოვრებაში. ტრაპიზონის გაზ. „ისტიკბალი" სწერს ეპიდემიის წინააღმდეგ საჩქარო ზომების მიღების საჭიროების შესახებ.

ქემალ ფაშა ვაჭრობის შესახებ.

ანგორა. 26 მარტი. კონიაში ქემალ-ფაშამ სიტყვა წარმოსთქვა ვაჭრობის მნიშვნელობისა და მეთოდების შესახებ. თავის სიტყვებში მან ჩამოთვალა ზომები, რომლებიც საჭიროა ვაჭრობის გასაძლიერებლათ ოსმალეთში: 1) კაპიტულიაციების საბოლოოთ და სამუდამოთ მოსპობა, 2) რკინის გზების და შოსე გზების სასწრაფოთ აგება, 3) ვაჭრობის საქმის ჩამორთმევა უცხოელ შუამავლებისაგან და ოსმალო ვაჭრებისათვის გადაცემა.

ბულგარეთისა და სერბიის შეთანხმება.

რომი. 29 მარტი. დამთავრდა სერბიისა და ბულგარეთის კონფერენცია. ყველა კითხვებში მიღწეულია შეთანხმება.

ლონდონის თათბირი

მორიგდენ.

მოსკოვი. 29 მარტი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ 27 მარტს გარეშე საქმეთა სამინისტროში კერზონის თავმჯდომარეობით შესდგა მოკავშირეთა ექსპერტების კონფერენციის პლენარული სხდომა. კონფერენციაზე მიღწეული იყო შეთანხმება ოსმალეთისადმი პასუხის შესახებ. მთავრობების მიერ ოფიციალურათ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ პასუხი გამომუშავებულია და გადაეცა მთავრობებს დასტურისათვის. დასტური მიცემული უნდა იქნეს 84 საათის განმავლობაში. კონფერენციის შედეგები საიდუმლოთ არის დაცული.

მცირემნიშვნელოვანი დათმობა.

მოსკოვი. 29 მარტი. კომპეტენტურ წრეებში ამბობენ, რომ მოკავშირეთა ექსპერტების კონფერენციამ მცირემნიშვნელოვანი დათმობა გაუწია ოსმალეთს.

ქემალ-ფაშას განცხადება.

მოსკოვი. 29 მარტი. ინგლისელ გაზეთების ცნობით, ქემალ-ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთის ჩარევა ხელახალ ომში რაიმე საშიშროების გარეშე ბოროტ მოქმედება იქნებოდა. ქემალ-ფაშამ მშვიდობიანობის დაცვის იმედი გამოსთქვა იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ინგლისი ოსმალეთის წინადადებებს უარჰყოფს.

მოკავშირეთა პირობები.

მოსკოვი. 29 მარტი. პარიზიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეების ცნობით, მოკავშირეთა ექსპერტების კონფერენციის მთავარი დადგენილებანი შემდეგი არიან: ოსმალეთის მოთხოვნილება კუნძულ კასტელლე-რიცცოს დაბრუნების შესახებ უარყოფილია. მერკელის კუნძულთა მიმართ დაწესებული იქნება ისეთივე რეჟიმი, როგორიც არსებობს ტენელოსის მიმართ. ოსმალეთის მოთხოვნილება ანგორის შეთანხმების ხელშეკრულებაში შეტანის შესახებ ერთხმათ უარყოფილია, აგრეთვე უარყოფილია ოსმალეთის წინადადება ეკონომიურ მუხლების განზრახვისა და კონცესიების კონტრაქტების ძალადების შესახებ. მოკავშირეთა ექსპერტები წინადადებას აძლევენ ოსმალეთს აანაზღაუროს მოკავშირეთა ქვეყნების ქვეშევრდომთა ომით დაზიანებული ქონება, და აგრეთვე ურჩევენ ოსმალეთის ვალის მომწესრიგებელ კომისიის შენარჩუნებას.

საფრანგეთში

მოკავშირეთა საჩივარი.

მოსკოვი. 28 მარტი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა მთავრობებმა გაასაჩივრეს ერთა ლიგის ტრიბუნალის წინაშე გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება, რომელიც უკრძალავს პოლონეთისათვის სამხედრო მასალებით დატვირთულ გემებს კილის არხში გასვლას.

კანონი შენიშვნით.

მოსკოვი. 29 მარტი. შრომის მინისტრს შეაქვს დეპუტატთა პალატაში კანონ პროექტი შრომის კანონების კოდექსში ვაშინგტონის მოლაპარაკებაზე მიღებულ დადგენილების შეტანის შესახებ. ეს დადგენილება უკრძალავს ღამით მუშაობას ქალებს და ბავშვებს. კანონპროექტში შეტანილია შენიშვნა, რომ საფრანგეთის მთავრობას ენიჭება უფლება შემოიღოს ეს დადგენილება მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოებში იქნება მიღებული იგი.

ინგლისის ამბები

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა.

პარიზი. 29 მარტი. ლორდ ბიურკენხედის სიტყვის გამო საჰაერო ფლოტის შესახებ „მორნინგ პოსტი" ამბობს: ბიურკენხედის მიერ მიცემული სურათი ამტკიცებს ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთ გაგების აუცილებელ საჭიროებას, რომელიც შემდეგ სამხედრო კონვენციით უნდა დამთავრდეს. აუცილებლათ საჭიროა, რომ საფრანგეთის საჰაერო ძალების დანიშნულება ინგლისის დაცვა იყოს და არა მასთან დაპირისპირება. არმია, რომელიც იდგა ომამდე და ომის დროსაც საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვარზე, იცავდა არა მარტო პარიზს, არამედ ლონდონსაც. სწორეთ ასევე საფრანგეთის საჰაერო ძალები გარანტია არის იმისა, რომ გერმანია და სხვა ქვეყნები, ერთად თუ ცალ-ცალკე ანგარიშს გაუწევენ იმ დადგენილებებს, რომლებსაც მიზნათ აქვს ინგლისის დაცვა, ვინაიდან ამ სახელმწიფოებმა ჯერ საფრანგეთის კორდონი უნდა გადალახონ, ვინემ მიაღწევდენ დიდი ბრიტანეთის კუნძულთა სიმაგრეს. ამ თვალსაზრისით, საფრანგეთის ძალების ყოველივე გამრავლებას ინგლისი უნდა მიესალმოს და არა კიცხავდეს.

ხელფასის მომატებისათვის.

რომი. 29 მარტი. ნორფოლკის საგრაფოში 20.000 სოფლის მუშა გაიფიცა. გაფიცულნი ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

მუშათა პარტიის კონფერენცია

მოსკოვი. 29 მარტი. ლონდონში ამ დღეებში გაიხსნება ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენცია, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას საკითხი სოციალ-დემოკრატებთან საერთო პოლიტიკის შესახებ რურის კონფლიქტში და სარეპარაციო პრობლემაში.

სოფლის მუშები იღვიძებენ

მოსკოვი. 29 მარტი. ლონდონიდან 27 მარტს მოსულ ცნობების თანახმად, ნორფოლკში 15,000 სოფლის მუშა გაიფიცენ. ფერმერებმა უარჰყვეს მიწათმოქმედების მინისტრის წინადადება გაფიცვის ლიკვიდაციის შესახებ სასამართლოს მიუდგომელ შუამავლობის საშუალებით. სუფოლკში გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ რამოდენიმე ასი კაცი, იზრდება. კემბრიჯში სოფლის მეურნეობის მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვენ. ფერმერებმა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადეს, რის გამო მოსალოდნელია ახალი გაფიცვა.

სახელმწიფოს დახმარებას მოითხოვენ.

მოსკოვი. 29 მარტი. დამატებითმა კანონ-პროექტმა, რომელიც საზღვრავს ადგილობრივ ბიუჯეტებიდან უმუშევართათვის გაღებულ დახმარების ნორმას, სასტიკი ოპოზიცია გამოიწვია შოტლანდიის მუშათა პარტიის წევრთა მხრით, რომლებიც მოითხოვენ ამ საკითხის გადაწყვეტას საერთო სახელმწიფოებრივ მასტაბით.

ლოიდ-ჯორჯი მხარს უჭერს ინგლისელ შემთანხმებლებს.

ბერლინი. 27 მარტი. ოთხშაბათს ინგლისის თემთა პალატაში გაირჩევა მუშათა პარტიის მიერ წარმოდგენილი წინადადება რეინლანდის ევაკუაციისა და ერთა ლიგისათვის მისი გადაცემის შესახებ.

ავსტრიაში

მოკავშირეების კარნახით.

მოსკოვი. 29 მარტი. ვენიდან იტყობინებიან, რომ სოციალ-დემოკრატების პარლამენტალური ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ ძლიერდება იმის გამო, რომ მთავრობას განზრახული აქვს სამხედრო სამინისტროს გაუქმება. ოპოზიციის წინააღმდეგობის გამო მთავრობა დათანხმდა სამინისტროს დატოვებაზე, ხოლო მოითხოვა გაუქმება სამოქალაქო კომისარიატების, რომელთა საშუალებით სოციალ-დემოკრატები კონტროლს უწევდენ სამხედრო სამმართველოს და აგრეთვე ჯარისკაცთა საბჭოების მოსპობა.

ავსტრიის მემკვიდრეობას იყოფენ.

მოსკოვი. 29 მარტი. მოლაპარაკება იტალიისა და სამხრეთ-სლავიის შორის ფიუმეს საკითხის გამო გრძელდება. იტალიის დელეგაციამ წინადადება შეიტანა პარიტეტულ კონსორციუმის შექმნის შესახებ ფიუმესა და ბაროსის ნავთსადგურებისა და აგრეთვე და ბრაიდიცის შენაკადის სამმართველოთ. სამხრეთ სლავიის დელეგაციამ კი მოითხოვა სრული სუვერენიტეტი ბაროსსზე და ბრაიდიცის შენაკადზე და აგრეთვე ფიუმეს ნავთსადგურის ექსპლოატაციაზე.

აჯანსაღებენ ავსტრიის ფინანსებს.

ბერლინი. 29 მარტი. ერთა ლიგის კომისარი ავსტრიაში ამ დღეებში მიემგზავრება პრაგაში, რომსა ბერნში, ავსტრიის ფინანსიურ სტემის გაჯანსაღებისათვის ხელ წყობათ, უმთავრესათ, ავსტრი თვის გარეშე სესხის მიცემის სა ლებით.

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის - ცენტრალურ კანტორაში
(ყ ო ფ. გ ა ზ ტ რ ე ს ტ ი)
(რუსთაველის პროსპ. № 24, მე-2-ე სართული).
მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის გაზეთებზე—ადგილებზე გადაგზავნით.
ხელის მოწერა მიიღება:
აპრილისა და მაისისათვის.
5—3

ტფილისში ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის ჩატარების საერთო გეგმა.

პარასკევს 30 მარტს—კომუჯრედებში მოხსენებები ახალგაზრდო კომკავშირის აღდგომის შესახებ.

კვირას 1 აპრილს—რაიპროპკოლექტივებში მოხსენებები: „რელიგი და მეცნიერება".

ორშაბათს 2 აპრილს—ახალგაზრდობის კომკავშირის უჯრედებში—ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის შესახებ.

სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს (დღით)—იგივე უპარტიო მუ შებში, არმიაში და ქალთა განყოფილებაში. საღამოს კლუბებში ანტი- წმუნოებრივი საღამოები „აღდგომის შეხვედრა".

პარასკევს—გაზაფხულის დღესასწაული.

შაბათს—4 საათზე ახ. კომ. კავ. რაიკომებში ფართო მიტინგები პროცესია ტაძრისაკენ საღამოს 7 საათზე ტაძრიდან დაიძრება კარ ვალი. კარნავალის შემდეგ ყოფილ სამხედრო ტაძრის ეზოში—ინსცენირო კა და ტაძრის გახსნა.

ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის ჩამტარებელი კომისია.

ამერიკა

რუსეთის თეთრგვარდიელები.

მოსკოვი. 29 მარტი. ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ ვაშინგტონის ხელისუფლებამ ამერიკაში შესვლის ნება მისცა 200 რუს-თეთრგვარდიელს, რომლებიც იმყოფებოდენ სტამბოლში. რუს-ემიგრანტებისათვის ამერიკის მიერ მიცემულ ნორმის შევსების გამო, თეთრგვარდიელები დაშვებული იქნებიან ბესარაბიისათვის მიცემულ შეუვსებულ ნორმის ანგარიშში. ამერიკის მთავრობის წარმომადგენლები გაურბიან ლაპარაკს ამაზე, რომ ეს ნორმის გა ნიშნავს თუ არა ბესარაბიის თის ტერიტორიათ ცნობას. „ ტო"-ს კორესპონდენტია ცნო ამერიკის შრომის სამინისტრომ ველად გადასწყვიტა არ შეეშ ლტოლვილები ამერიკაში და ზავნათ ისინი რუსეთში. მაგრამ ნასკნელ დროს მთავრობამ თე გვარდიელებისადმი მეგობრულ განწყობილი წრეების გავლენით ვალა თავისი პოზიცია.

უნგრეთში

ყვითლების უძლურება.

მოსკოვი. 29 მარტი. ბუდაპეშტში გახსნილ უნგრეთის პროფკავშირების კონგრესზე ამსტერდამის წარმომადგენელთა მონაწილეობით, აღნიშნულ იქნა, რომ უნგრეთის ორგანიზაციებში მყოფ მუშათა რიცხვი აღწევს 203 000, 21 წელში კი მათი რიცხვი უდრიდა 100 000. ჟასეიმ აღნიშნა, რომ პროფკავშირთა საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯები პროფკავშირთა ორგანიზაციების თავისუფლების დასაცავათ ჯერჯერობით უნაყოფოთ ჩაიარა. პროფკავშირთა საბჭო მოითხოვს მუშათა საავათმყოფო კასების ავტონომიის აღდგენას, შრომის ხელფასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების რეგლამენტაციას კანონის მიერ, მინიმალურ განაკვეთის დაწესებას, ორმოცდა რვა საათის სამუშაო კვირის შემოღებას და ბავშთა და ქალთა შრომის დაცვის შემოღებას.

სწყვეტენ კავშირს ყვითლებ

მოსკოვი. 29 მარტი. ბუდაპ მელითონეებმა უარყვეს დამქ ბელთა და პროფკავშირების ხ ღვანელთა შორის დადებული შ ხმება, რომლის თანახმად მუშაობა უნდა განახლებულიყო ვალ ქარხნებში მუშები ამ გამოცხადდენ. ზოგიერთ ფაბ გამოცხადებულმა მუშათა უარი სთქვა მუშაობაზე და მ კრება, რომელზედაც სასტიკათ შკრებდენ ყვითელ ბელადებს დაკავებულ პოზიციის წინააღ მუშების მიერ განზრახული ს ტესტო დემონსტრაცია არ იქნა ვებული პოლიციის მიერ, პრ შირების ბელადებს იმედი აქვ დაარწმუნებენ მუშებს დაიწყო ობა, მიუთითებენ რა დამქირა თა დაპირებაზე, რომ მახლობ ებში მოგვარებული იქნება შრომის ხელფასის შესახებ.

საბჭოთა რესპუბლიკების მომარაგება საქართველოს ნავთსადგურების საშუალებით

თუ რამდენათ იყო მომარაგებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები წარსული წლის განმავლობაში უცხოეთის-ევროპის ბაზრიდან—ერთის მხრივ და მეორე მხრივ-კი—რუსეთის შიდა გუბერნიებიდან შემოტანილი საქონლით ეს საკითხი დიდი მნიშვნელობისაა. მის სისწორით გამორკვევას აქვს მნიშვნელობა, არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად პრაქტიკულიც ეკონომიურ პოლიტიკაში და მისი სათანადო შესწავლა—ყურადღების ღირსია.

თუმცა ამ წერილის შინაარსი მხოლოდ საქართველოს ნავთსადგურებს შეეხება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც შავი-ზღვის ნაპირებს ჰქონდათ და, რასაკვირველია, დღესაც აქვთ საქონლის გაცვლა-გამოცვლის სფეროში ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, უნდა აღიარებულ იქნას, რომ აღნიშნულ საკითხის სწორი გამორკვევა ადვილებს საერთო მომარაგება--მიწოდების სფეროს შესწავლას რესპუბლიკათა ცხოვრებაში.

აღნიშნული საკითხის გასაშუქებლათ ვსარგებლობ საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, რომელიც თავის მხრივ საბაჟოების მიერ საზღვარ-გარეთული და კაბოტაჟური ნაოსნობით შემოტანილ-გატანილ საქონლის ცნობებს ემყარება.

დავიწყოთ ბათუმის ნავთსადგურიდან.

წარსული წლის განმავლობაში შემდეგ სურათს ვხედავთ შემოტანილ-გატანილ საქონლის მოძრაობაში საქონლის მთავარი ჯგუფების მიხედვით.

ათას ფუთობით

	საქონლის მთავარი ჯგუფები.	გაგზავნილა			მიღებულა		
		საზღვ. გარეთ	კაბოტაჟით	სულ.	საზღვ. გარეთ	კაბოტაჟით	სულ.
1	საარსებო საგნები	66	443	514	2.797	523	3.320
2	ნედლი და ნახევრად. დამუშ. საქ.	9.475	249	9.724	327	197	524
3	ნაწარმოები	49	24	73	517	67	584
4	დაუსახელებელი	5	67	72	7	45	52
	სულ	9 595	788	10.383	3.648	832	4.480

როგორც მოყვანილ ცხრილიდან ვხედავთ, წარსული წლის განმავლობაში ბათუმის ნავთსადგურიდან გატანილა სულ 10 383 ათ. ფ. საქონელი, ხოლო ამავე დროს შემოტანილა 4.480 ათ. ფ.—მაშასადამე, გაგზავნილი საქონელი 5 903 ათ. ფუთით აღემატება შემოტანილ საქონელს. ნავთსადგურიდან გაგზავნილი საქონლის უდიდესი ნაწილი 9.595 ათ. ფუთი გატანილა საზღვარ-გარეთ, ხოლო 788 ათ. ფუთი საქართველოს და რუსეთის ნავთსადგურებში, ამავე დროს შემოტანილი საქონლიდან საზღვარ-გარედან შემოტანილა 3 648 ათ. ფ. ანუ 5.947 ათ. ფუთით ნაკლები, ვიდრე გატანილა, ხოლო საქართველოს და რუსეთის ნავთსადგურებიდან 832 ათ. ფუთი ე. ი. 43 ათ. ფუთი მეტი, ვიდრე გატანილა. ამნაირად, **წლის განმავლობაში შემოტანილ-გატანილი საქონლის უდიდესი ნაწილი მოდის საზღვარ გარეთზე, გატანილა გაცილებით მეტი, ვიდრე შემოტანილა, ხოლო უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენს კაბოტაჟური შემოტანა-გატანა, თითქმის თანასწორი რაოდენობით.**

თუ საქონლის აღნიშნულ რაოდენობას საქონლის მთავარი ჯგუფების მიხედვით განვიხილავთ — შემდეგს ვხედავთ.

გაგზავნილი საქონლის უდიდესი ნაწილი მოდის ნედლ და ნახევრად დამუშავებულ საქონელზე 9 724 ათ. ფუთი, რაც მთელი გატანის 93 პროც. შეადგენს, ამ რაოდენობიდან საზღვარ-გარეთ გატანილა 9.475 ათ. ფუთი, ხოლო რუსეთში და საქართველოში-კი 249 ათ. ფ; მეორე ადგილი უჭირავს საარსებო საგნების გატანას—514 ათ. ფუთი. ანუ 5 პროც., მათ შორის საქართველოში და რუსეთში გატანილა 448 ათ. ფუთი; მესამე ადგილზე სდგას საქარხნო, საფაბრიკო და სახელოსნო ნაწარმოების გატანა—73 ათ. ფუთის რაოდენობით ანუ 1 პროც., მათ შორის საზღვარ-გარეთზე მოდის 49 ათ. ფუთი; დაუსახელებელი საქონელი გატანილა 72 ათ. ფუთის რაოდენობით —1 პროც., აქედან საქართველოში და რუსეთში გაგზავნილა 67 ათასი ფუთი.

ამნაირათ, **გატანილ საქონელში უდიდესი ადგილი უჭირავს ნედლ და ნახევრად დამუშავებული საქონლის გატანას, რომელიც უმთავრესად საზღვარ გარეთ იგზავნება, ხოლო მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს საარსებო საგნების გატანა საქართველოს და რუსეთის ფარგლებში.**

დავუბრუნდეთ ეხლა შემოტანას.

შემოტანაში პირველი ადგილი უჭირავს საარსებო საგნების—3.320 ათ. ფუთი ანუ 74 პროც. მთელი მიღების, აქედან საზღვარ-გარედან შემოტანილა 2 797 ათ. ფუთი; მეორე ადგილი უჭირავს ნაწარმოების შემოტანას—584 ათ. ფუთი ანუ 13 პროც. —მათ შორის უდიდესი ნაწილი მოდის საზღვარ-გარედზე—514 ათ. ფუთი; თითქმის ამავე რაოდენობით შემოტანილა ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი. 524 ათ. ფუთი ანუ 12 პროც., მთელი მიღების, ამ რაოდენობიდან საზღვარ-გარედან შემოტანილა 327 ათ. ფუთი და საქართველო-რუსეთიდან-კი 197 ათ. ფუთი. მაშასადამე —**შემოტანის მთავარი საგნები ყოფილა უპირველესად საარსებო საგნები, რაც 1921 წლის მოუსავლობით უნდა აიხსნას და შემდეგ კი ნაწარმოები და ნედლი თუ ნახევრათ დამუშავებული საქონელი; ყველა ამ ჯგუფის საქონლის უდიდესი ნაწილი შემოტანილა საზღვარ-გარედან.**

თუ დაუპირდაპირებთ საქონლის უმთავრესი ჯგუფების რაოდენობას შემოტან გატანაში, ჩვენ დავინახავთ, რომ ბათომიდან ზედმეტათ გატანილა მხოლოდ ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი—9 201 ათ. ფუთით; ხოლო ზედმეტი რაოდენობით კი შემოტანილა საარსებო საგნები 2 806 ათ. ფუთი და ნაწარმოებიც 511 ათ. ფუთით.

თუ ამავე ჯგუფებს ცალ-ცალკე განვიხილავთ—ჩვენ ვხედავთ, რომ საზღვარ გარედ გატანილა ზედმეტათ ნედლი და ნახევრათ დამუშავებული საქონელი—9.149 ათ. ფუთით. აქედან უკვე ცხადია ევროპის ბაზრის მოთხოვნილება ჩვენი ბაზრისადმი—სახელდობრ ნედლეულობის საჭიროება; ამავე დროს ზედმეტათ შემოდის საზღვარ გარედან საარსებო საგნები—2 731 ათ. ფ. და ნაწარმოები 458 ათ. ფუთი.—პირველი ჯგუფის შემოტანას თუ წარსული წლის მოუსავლობით ავხსენით, ნაწარმოების შემოტანა—უკვე ევროპის და ადგილობრივ ბაზრის ტიპიურობით აიხსნება—პირველია ნაწარმოების გამტანი ქვეყანა, ხოლო მეორე უმთავრესად ნაწარმოების შემომტანი, როგორც ნაკლებ განვითარებული საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობით.

ჩვენ უკვე გავიგეთ თუ რა მდგომარეობა იყო შარშან—რა შემოტანილა ან რა გატანილა, მაგრამ ეს რაოდენობა რამდენად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, ან რა ნაწილს შეადგენს მშვიდობიანი დროის შემოტანა-გატანისას—ჩვენ ეს არ გაგვიგია. ამის გაგებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პირობებში.

მაშ განვიხილოთ ჯერ საზღვარ-გარეთული შემოტანა და გატანა და შემდეგ კი კაბოტაჟური.

ათას ფუთობით

	საქონლის მთავარი ჯგუფები	გაგზავნილა			მიღებულა		
		1909—13/5	1922 წ.	1922 წ. პრ. მიმართ 1909-13 წლ. საშუა.	1909—13/5	1922 წ.	1922 წ. პრ. მიმართ 1909-13 წლ. საშუა.
1	საარსებო საგნები	1.975	66	3,3	605	2.797	462,3
2	ნედლი და ნახევრად დამუშ. საქ.	50.606	9.475	18,7	559	327	58,5
3	ნაწარმოები	55	49	89,1	576	517	89,8
4	დაუსახელებელი	36	5	13,9	48	7	14,6
	სულ	52.672	9.595	18,2	1.788	3.648	204,0

რას ვხედავთ მოყვანილ ცხრილში? 1922 წელში საზღვარ-გარეთ გატანილი საქონელი მშვიდობიანი დროის გატანის 52,672 ათ. ფუთიდან 9 595 ათ. ფუთამდე ჩამოსულა, რაც 1909-13 წლის გატანის მხოლოდ 18,2 პროც. ღა შეადგენს, შემოტანა-კი 1,788 ათ. ფუთიდან. 1922 წელში 3.648 ათ. ფუთზე ასულა, მაშასადამე გადიდებულია 104,0 პროც. **აქედან ცხადია თუ რამდენათ შემცირებულა რესპუბლიკათა წარმოება და ამის გამო, რამდენათ გადიდებულა უცხოეთის საქონლის შემოტანის საჭიროება შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.**

ამნაირათ, **უცხოეთის ბაზარზე საქონლის გატანა მნიშვნელოვნათ—81,9 პროც. შემცირებულა, ხოლო შემოტანა 104,0 პროც. გადიდებულა.** აქედან უკვე ადვილათ გასაგებია ის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ მდგომარეობას ახასიათებს უცხოეთის ბაზრის მიმართ. იგი მით უფრო გაღრმავებული, რომ გატანაში უდიდესი ადგილი უჭირავს ისეთ საგნებს, როგორიც არის ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი—იაფი პროდუქტი, იმ დროს, როდესაც უცხოეთიდან შემოდის უმეტესად უფრო მეტ ღირებულიანი საქონელი ნაწარმოები და საარსებო საგნები.

ვნახოთ ეხლა რა სურათს იძლევა კაბოტაჟური შემოტანა და გატანა მშვიდობიან დროსთან დაპირდაპირებით.

ათას ფუთობით

	საქონლის მთავარი ჯგუფები	გაგზავნილა			მიღებულა		
		1909—13/5	1922 წ.	1922 წ. პრ. მიმართ 1909-13 წლ. საშუა.	1909—13/5	1922 წ.	1922 წ. პრ. მიმართ 1909-13 წლ. საშუა.
1	საარსებო საგნები	1.739	448	25,8	3.188	523	16,4
2	ნედლი და ნახევრად დამუშ. საქ.	4 371	249	5,7	2.532	197	7,8
3	ნაწარმოები	261	24	9,2	1.395	67	4,8
4	დაუსახელებელი	132	67	5,0	632	45	7,1
	სულ	6.503	788	12,1	7.747	832	10,7

როგორც კაბოტაჟური გაგზავნა, აგრეთვე საქონლის მიღება მნიშვნელოვნათ შემცირებულა. 22 წელში გაგზავნილი საქონლის რაოდენობა შეადგენს მშვიდობიანი დროის გაგზავნის 12, 1 პროც. ანუ 788 ათ. ფ. წინააღმდეგ 6 503 ათ. ფუთისა და მიღება კი 10,7 პროც. ანუ 832 ათ. ფ. წინააღმდეგ 7.747 ათ. ფუთისა.

1922 წ. გაგზავნაში ყველაზე ნაკლებ შემცირებულა საარსებო საგნების გაგზავნა—ის უდრის 448 ათ. ფ. ანუ 25,8 პროც. მშვიდობიანი დროისას, ხოლო მიღებულია საარსებო საგნები 523 ათ. ფ. წინააღმდეგ 3 188 ათ. ფუთისა. რაც უდრის წინა დროის მიღების 16,4 პროც.

საერთოდ გაგზავნა-მიღებას (კაბოტაჟურს და საზღვარ-გარეთულს) შემდეგი მდგომარეობა ახასიათებს წინა დროსთან შედარებით.

საარსებო საგნები გაგზავნილა 1922 წელში 514 ათ. ფ. წინააღმდეგ 3714 ათ. ფუთისა 1909—13 წელში, ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი 9.724 ათ. ფ. წინააღმდეგ 54.977 ათ. ფუთისა, ხოლო საერთოთ—10.383 ათ. ფ. წინააღმდეგ 59.175 ათ. ფუთისა 1909—13 წ., რაც შეეხება საქონლის მიღებას—საარსებო საგნები 1922 წელში მიღებულა—3320 ათ. ფ. წინააღმდეგ—3.793 ათ. ფუთისა, ნაწარმოები—584 ათ. ფ. წინააღმდეგ—1.971 ათ. ფ., ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი—524 ათ. ფ. წინააღმდეგ 3.091 ათ. ფ. და საერთოთ-კი 4.480 ათ. ფ. წინააღმდეგ 7.747 ათ. ფ. როგორც ვხედავთ, **წარსული წლის განმავლობაში გატანა უფრო მნიშვნელოვნა პროც. შემცირებულა ვიდრე ტანა (42,2 პროც).**

აქამდის ლაპარაკი იყო წ წლის შემოტანილ-გატანილი ლის რაოდენობაზე, მის შემ ბაზე და იმ ცვლილებაზე, რ მოხდა შედარებით 1909--13 წ მაგრამ თუ რა მდგომარეობ თვით 1922 წლის განმავლ რით ხასიათდება ამ წლის გ მოტანის დინამიკა—ეს ჩვენ გვიგია. ამის გაგებას კი მნიშ ბა აქვს იმისათვის, რომ თუ რით ხასიათდება იგი: ტება ან შემცირება და თუ გილი აქვს, ტვირთის რომელ ტეგორიისათვის არის სახელ დამახასიათებელი: საზღვარ ლი თუ კაბოტაჟულისთვის ნლის რომელი ჯგუფისთვის.

განვიხილოთ მაშ ორივე რია წლის მეოთხედების მიხ

საზღვარ-გარეთული გატ მოტანა ათას ფუთობით 1922

	საქონლის მთავარი ჯგუფები	გაგზავნილა				მიღებულა		
		I	II	III	IV	I	II	III
1	სარსებო საგნები	43	6	6	11	698	703	1.16
2	ნედლი და ნახევრად დამუშ. საქ.	206	2.886	2.886	3.576	55	54	5
3	ნაწარმოები	21	13	7	8	137	113	20
4	დაუსახელებელი	—	5	—	—	—	—	
	სულ	270	2.831	2.899	3.595	890	870	1.44

მოყვანილ ცხრილის მიხედვით, ბათუმის ნავთსადგურიდან საზღვარ-გარეთ საქონლის გატანა გამუდმებულათ მატულობს—ნედლი და ნახევრათ დამუშავებული საქონლის გატანის ზრდის გავლენით, რადგან ნაწარმოების და საარსებო საგნების გატანა თითქმის გამუდმებულათ მცირდება. რაც შეეხება საქონლის საზღვარ-გარეთიდან შემოტანას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მესამე მეოთხედის გადიდებას—საარსებო საგნების დიდი რაოდენობით შემოტანის ლენით, იგი გამუდმებულა ბა. თითქმის ასეთსავე სურა ვიან ცალ-ცალკე ჯგუფებ ნედლი და ნახევრათ დამუშ საქონლისა, რომელიც დიდი ნობით შემოტანილა უკანასკ ოთხედში.

კაბოტაჟური შემოტანა 1922 წელში წლის მეოთხედ საქონლის მთავარი ჯგუფ დვით ათას ფუთობით.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

პოლონეთის ამბები

პროექტი კსენძებზე გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 29 მარტი. პოლონეთის პრემიერმა სიკორსკიმ გადასცა რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენელს ვარშავაში ამხ. ობოლენსკის პროტესტი ცეპლიაკზე და ბუტკევიჩზე გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ. სიკორსკი გამოვიდა აგრეთვე სეიმში სიტყვით კსენძების პროცესის შესახებ.

ელიან ფოშის ჩამოსვლას.

ბერლინი. 27 მარტი. პოლონეთის მთავრობა 3 მაისისთვის ელის მარშალ ფოშის და გენერალ ვეინმერის ჩამოსვლას ვარშავაში.

ლიტვა

მიემგზავრებიან თავის ბანაკში.

მოსკოვი. 29 მარტი. კოვნოდან იუწყებიან, რომ 27 მარტს რუსეთში მიემგზავრება 5 კაცი ლიტვის საპყრობილეებიდან განთავისუფლებულ კომუნისტების პირველ ჯგუფიდან. რუსეთში მათი ჩამოსვლას 29 მარტს მოელიან. მზადდება კომუნისტების მეორე ჯგუფის განთავისუფლება.

ლატვია

შავრაზმელთა ღონისძიება უნაყოფოთ რჩება.

მოსკოვი. 29 მარტი. რიგიდან იტყობინებიან, რომ ნაციონალურმა კლუბმა, ახალგაზრდობის ნაციონალურ კავშირთან და სხვა შავრაზმელთა ორგანიზაციებთან ერთად პროტესტის დღე გამართეს რიგაში ებრაელთა წინააღმდეგ. ქალაქში ავტომობილები დადიოდენ და ყრიდენ ფურცლებს მოწოდებით არავინ არაფერი იყიდოს ან გაყიდოს ებრაელთა მაღაზიებში. შავრაზმელთა დემონსტრაციამ მასსებში ვერავითარი თანაგრძნობა ვერ გამოიწვია.

სხვადასხვა ამბები

შვეიცარია.

შემთანხმებლების ინტერნაციონალის კონგრესზე.

მოსკოვი. 29 მარტი. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ვენის ინტერნაციონალის ორგანიზაციაში, სცნო რა, რომ მისი პრინციპები საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ ინტერნაციონალს.

სამხრეთ-სლავია

ბულგარეთ—სამხრეთ-სლავიის კონფერენცია.

მოსკოვი. 29 მარტი. ვენიდან იტყობინებიან, რომ ნიშში დამთავრდა ბულგარეთ—სამხრეთ-სლავიის კონფერენცია.

ინდოეთი

სიკვდილით დასჯა.

მოსკოვი. 27 მარტი. კალკუტაში ინგლისელებმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს მეამბოხეთა მოძრაობის ერთ-ერთ მეტად ცნობილ ბელადს პონარა ტანგას.

დელეგაციის გამგზავრება.

მოსკოვი. 20 მარტი. იტყობინებიან, რომ ინგლისში გაემგზავრება ევროპიელების დელეგაცია, რომელთან ერთად გაემგზავრა აგრეთვე კანიის გუბერნატორი. ერთ დროულათ ამ დელეგაციასთან ინგლისში მიემგზავრება ინდოეთის დელეგაცია. გაზეთების კორესპონდენტები ხაზს უსვამენ ამ მოვლენის დიდ მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთის ახალშენების მთელი ბედი დამოკიდებულია იმაზე, იქნება თუ არა დაკმაყოფილებული ევროპიელების მოთხოვნილება იმიგრაციაზე უფლებრივი კონტროლის შესახებ და მიეცემა თუ არა ეს პრივილეგია ინდოეთის მოსახლეობას, რომელიც მისწრაფვის ამ სახით მოიპოვოს საკანონმდებლო კრებების უმრავლესობა.

ფინლიანდია

ბოდიში მოიხადეს.

მოსკოვი. 29 მარტი. ფინლიანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვენოლამ ფინლიანდიის მთავრობის სახელით ბოდიში მოუხადა რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელს სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელის დაპატიმრების გამო და დაჰპირდა, რომ მიიღებს ზომებს მომავალში ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლათ.

ჩინეთი

რუსეთ-ჩინეთის კონფერენცია.

მოსკოვი. 29 მარტი. ჩინეთის პოლიტიკური წრეები დარწმუნებული არიან, რომ ახლო მომავალში მოწვეული იქნება რუსეთ-ჩინეთის კონფერენცია, რომელიც განიხილავს საკითხს ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზისა, ამურზე ნავოსნობისა და სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

პრესის მიმოხილვა

მომგებიანი სესხი და პროფკავშირები.

მოსკოვი. 28 მარტი. გაზეთი „ტრუდ“ სწერს, რომ პროფკავშირებმა უნდა უხელმძღვანელონ მომგებიანი სესხის რეალიზაციის საქმეს, რომლის შედეგი იქნება მანეთის სტაბილიზაციისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა. სააგიტაციო კამპანიის დროს ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ის შეღავათები, რომელიც ეძლევათ ობლიგაციების მქონეთ. ყოველი მოქალაქე, რომელიც იძენს ობლიგაციებს, არა მარტო კარგათ ათავსებს თავის თანხებს, არამედ მონაწილეობას იღებს თავისი ქალაქის აღდგენის საქმეშიც, რადგან მომგებიანი სესხის განაღდებით მიღებული ჯამის ნაწილი რჩება ადგილობრივ და ხმარდება დანგრეული კომუნალური მეურნეობის აღდგენის საქმეს. საბანკო დაწესებულებები უკვე იძლევიან სესხს მომგებიანი სესხის ობლიგაციების გირაოს ქვეშ. რიგია პროფკავშირებზე, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრიობის ცენტრია.

სახელმწიფო და პარტია

მოსკოვი. 29 მარტი. გაზ. „პრავდა“-ში ამხ. ზინოვიევი—წერილში „სახელმწიფო და პარტია“ ეკამათება იმ ულტრა სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც გამოდიან ლენინის მიერ უკანასკნელ წერილებში პარტიულ დაწესებულებების კონტროლის საბჭოთა კონტროლთან შეერთების შესახებ გატარებულ აზრების და რ. კ. პ. სახელმწიფოში ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ. ყველა პოლიტიკური პარტია, რომელსაც აქვს რწმენა თავისი ძალებისა და პროგრამისადმი ილტვის პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ. ამ მხრივ კომუნისტური პარტია არ განირჩევა სხვა პარტიებისაგან. მაგრამ კომუნისტური პარტიის დიქტატურა განირჩევა სხვა პარტიების დიქტატურისაგან იმით, რომ ის დაინტერესებულია სახელმწიფო შენებლობაში მშრომელთა ფართე მასების ჩათრევით. მაგრამ საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმე რჩება და უნდა დარჩეს წლების მთელი რიგის განმავლობაში, სანამ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება მთავარ ნაწილებში უზრუნველყოფილი არ აქნება საერთაშორისო მასშტაბში, რევოლიუციის მიერ წამოყენებულ კომუნისტური პარტიის ხელში. მიუთითებს რა „სმენავეხოვცების“ მიმდინარეობის და მათი დიქტატურის შემსუბუქების შესახებ ქადაგების უსაფუძვლობაზე, ამხ ზინოვიევი აღნიშნავს, რომ ჩვენ შევედით რევოლიუციის სამეურნეო პერიოდში. ამ პერიოდში სამეურნეო და საერთო—სახელმწიფო აპარატის პარტიული ხელმძღვანელობა არა თუ საჭიროა, არამედ უფრო ადვილი განსახორციელებელია ვიდრე რევოლიუციის პირველ ხანაში. ნამდვილი პარტიული მუშაობა სწორეთ მთელი მხარის სამეურნეო და საერთო—სახელმწიფო ორგანოების მთავარ ხელმძღვანელობაში მდგომარეობს. ამხ. ლენინის გეგმა, რომელიც დაკავშირებულია მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეორგანიზაციასთან მით არის მნიშვნელოვანი, რომ დღის წესრიგში აყენებს მთელი რევოლიუციის ორ დიდ კითხვას: პირველი—ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნამდვილი გაუმჯობესება; მეორე—გამომუშავება ზომების მთელი სისტემისა, რომელიც ააცილებენ პარტიას იმ საფრთხეს, რომელსაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა უმზადებს ჩვენი მეურნეების ნაწილს.

ბრძოლა კულტურისათვის სოფელში.

მოსკოვი. 29 მარტი. ამხ. სემაშკო გაზ. „იზვესტიაში“ წერილში „ბრძოლა კულტურისათვის სოფელში“ ამბობს, რომ შეფობის საკითხი არის სოფელში კულტურისათვის ბრძოლის საკითხი. გლეხი თავისი შრომის ბუნებით და ცხოვრების პირობებით—რეალისტია. აქედან მთავარი დასკვნა: სოფელში კულტურისათვის ბრძოლას უნდა ქონდეს კონკრეტიული, რეალური ხასიათი, საშეფო ორგანოებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ საშეფოთ აყვანილ სოფლების ოლქების და მაზრების ცხოვრების პირობები და ამისდამიხედვით განავითარონ თავისი მუშაობა. თითეული გახსნილი საავადმყოფო, სკოლა, ბავშთა თავშესაფარი, საუკეთესო აგიტაციაა კომუნიზმისა, ვიდრე ათეული წიგნი. ამრიგად ერთგვარი „პროპაგანდა მოქმედებით“ უნდა შეიქნეს სოფელში კულტურული აგიტაციის მთავარი ელემენტი.

	საქონლის მთავარი ჯგუფები	გაგზავნილა				მიღებულა			
		I	II	III	IV	I	II	III	IV
1	სარსებო საგნები . . .	180	193	26	49	95	89	16	323
2	ნედლი და ნახევრად დამუშავ. საქ. . . .	17	25	140	67	45	15	70	67
3	ნაწარმოები . . .	7	4	4	9	39	10	3	15
4	დაუსახელებელი . . .	6	24	35	2	1	18	24	2
	სულ . .	210	246	205	127	180	132	113	407

ბათომიდან საქართველოს და რუსეთის ნავთსადგურებში გატანას უკანასკნელ მეოთხედში შემცირება ახასიათებს. რაც შეეხება ცალ-ცალკე ჯგუფებს, არც მათ ეჩნევა რაიმე განსაზღვრული მიმართულება. საარსებო საგნების დიდი ნაწილი გატანილა წლის პირველ ნახევარში, ხოლო ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი კი უკანასკნელ ორ მეოთხედში. რაც შეეხება მიღებას, არც აქ ემჩნევა გარკვეული მიმართულება—ჯგუფობრივ თუ საერთო შემოტანას და იგი თუმცა ცვალებადია, მაგრამ უკანასკნელ მეოთხედში მნიშვნელოვნათ გაზრდილა.

ზოგადი მიმოხილვის დასამთავრებლათ საჭიროა გამორკვეულ იქნას კიდევ ერთი მხარე საქონლის გაცვლა-გამოცვლის, სახელდობრ კაბოტაჟურ შემოტან გატანაში, რა ნაწილი შემოდის საქართველოს ფარგლებიდან და რა ნაწილი რუსეთიდან. ამის შემდეგ კი გადავიდეთ შემოტანილ თუ გატანილ საქონლის კონკრეტიზაციაზე და გავარკვიოთ თუ რა შეადგენს შემოტანის და გატანის უმთავრეს საგანს და რა მიმართება ახასიათებს მას მშვიდობიანი დროის რაოდენობისადმი.

ათასი ფუთობით

	საქონლის მთავარი ჯგუფები	გაგზავნილა			მიღებულა		
		საქართველოს ნაწარმოები	რუსეთის ნავთსადგური	სულ	საქართველოს ნაწარმოები	რუსეთის ნავთსადგური	სულ
1	საარსებო საგნები . . .	42	406	448	43	480	523
2	ნედლი და ნახევრად დამუშ. საქ.	69	180	249	10	187	197
3	ნაწარმოები	11	13	24	4	63	67
4	დაუსახელებელი . . .	20	47	67	5	40	45
	სულ. . .	142	646	788	62	770	832

ამნაირათ, საქართველოში გატანილა 80 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე შემოტანილა, ხოლო რუსეთიდან შემოტანილა 124 ათასი ფ. მეტი, ვიდრე გატანილა. ყველა ჩამოთვლილი საქონლის ჯგუფები უდიდესი ნაწილით მოდის რუსეთზე, როგორც გატანაში, აგრეთვე შემოტანაში. საქართველოში იგზავნება უმთავრესად ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი და საარსებო საგნები, ხოლო რუსეთში საარსებო საგნები და ნედლი თუ ნახევრად დამუშავებული საქონელი. შემოტანაში—ორივე კუთხიდან შემოდის უმთავრესად საარსებო საგნები—523 ათ. ფ. და ნედლი თუ ნახევრათ დამუშავებული საქონელი—197 ათ. ფ.

თუ რა შეადგენს სახელდობრ შემოტანის თუ გატანის მთავარ საგნებს—ამაზე შემდეგ.

სტატისტიკოს-ეკონომისტი.

(დასასრული იქნება)

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კომუნალურ მეურნეობათა ყრილობა.

მოსკოვი. 28 მარტი. 28 მარტს მოსკოვში დამთავრდა კომუნალურ განყოფილებათა ყრილობა. მიღებულ რეზოლიუციებში ყრილობამ საჭიროთ მიიჩნია კომუნალური სამსახურის ყველა დარგებზე გადასახადების შემოღება. ყრილობამ მიუთითა აგრეთვე მუშებისათვის კომუნალურ სამსახურის გადასახადის გადიდების აუცილებლობაზე. საბინაო საკითხში ყრილობამ საჭიროთ სცნო შერეული საამშენებლო ორგანიზაციების შექმნა კერძო კაპიტალის მონაწილეობით და ახლათ აგებულ ბინებით სარგებლობაში შეღავათის მინიჭება. ყრილობამ დაადგინა, რომ ყველა კომუნალურმა განყოფილებებმა მიიღოს მონაწილეობა სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის წარმოება.

მოსკოვი. 26 მარტი. სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბრაგინი სწერს: „იზვესტიაში“: „ჯერ კიდევ ეხლა გამოფენის კომიტეტისათვის ნათელია, რომ ლაპარაკი შესაძლებელია ექსპონატების ჭარბობაზე და არა დანაკლისზე იმდენათ ხშირია ადგილებიდან მოსული წინადადებები. გამოფენა უზრუნველყოფილია მეცნიერულ მომზადებით და შინაარსითაც. გამოფენის კომიტეტში შეკრებილია რუსეთის აგრონომიის საუკეთესო წარმომადგენლები. გამოფენის დაწყებამდე 4 თვე დარჩა და ამ პერიოდში აშენებული უნდა იქნეს მთელი გამოფენა, საჭიროა ამშენებლობის არა ჩვეულებრივი ტემპის გამოჩენა და ღამის-სამუშაო დღეთ გადაქცევა. პირველ ხუთი წლის განმავლობაში არმიის ყოველ მონაწილეს ზეკაცური უნარი და გმირობა უნდა გამოეჩინა. სამეურნეო რევოლიუციის დაწყებითი პერიოდშიაც ასეთივე მოთხოვნილებები წინ უდგას მის მებრძოლებსაც.“

უკრაინა

საჰაერო მიმოსვლის საზოგადოება.

ხარკოვი. 28 მარტი. ხარკოვში, 26 მარტს, შესდგა სრულიად უკრაინის საჰაერო მიმოსვლის დამფუძნებელი კრება. საზოგადოების ძირითად თანხას შეადგენს 550,000 ოქროს მანეთი, რომლიდანაც 4000 მანეთი უკვე დაფარა ხარკოვის სამეურნეო ორგანოებმა. კომერციულ საჰაერო მიმოსვლის ფინანსიური პერსპექტივები საზოგადოებამ იცნო ფრიად ხელსაყრელათ. ამ საზოგადოების 550 აქციები უკვე გაყიდულია. საზოგადოების მსხვილ მონაწილეებათ არიან ტრესტები, რომელთაც შეიძინეს 450 აქცია. განზრახულია საზოგადოებაში მიაღებინონ მონაწილეობა აგრეთვე საგუბერნიო ცენტრებს.

კავშირი სოფელთან.

ხარკოვი. 28 მარტი უკრაინის გუბერნიების უმეტეს ნაწილში ქალაქის შეფობა სოფელზე ტარდება ცხოვრებაში ენერგიულათ.

ქარხნების და წარმოებათა წარმომადგენლები მიდიან საჩუქრებით, წიგნებით და ლიტერატურით სოფლებში და აწყობენ მიტინგებს და თათბირს გლეხებთან, რითაც დიდ ხელს უწყობენ კულტურულ განვითარებას სოფლებში გლეხების დამოკიდებულობა შეფების მიმართ საუკეთესოა.

რუსეთის სავაჭრო დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებთან

უცხოეთის ფირმები რუსეთის ვაჭრობაში.

მოსკოვი. 29 მარტი. სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ უცხოეთის ფირმები დაიშვებიან სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლათ სრ. ს. რ. კ. საზღვრებში მხოლოდ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სათანადო ნებართვით. ამ წარმომადგენლობებთან ხელშეკრულების დადება საგარეო ვაჭრობის შესახებ ნებადართულია ყველა დაწესებულებათა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და კერძო პირთათვის. უცხოეთის ფირმების წარმომადგენლებათ შეუძლიათ იყვნენ პირები, რომლებიც არ ითვლებიან ს. ს. რ. კ.-ის სახელმწიფო სამსახურში.

ვაჭრობა საზღვარ-გარეთთან.

მოსკოვი 29 მარტი. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად ს. ს რ. კ.-ის სავაჭრო ორგანოებს წარმოადგენს ს. ს რ. კ.-ის სავაჭრო წარმომადგენლობა. წარმოებებს, რომლებსაც მიღებული აქვს უფლება სავაჭრო ოპერაციების წარმოებაზე საზღვარ-გარეთთან, შეუძლიათ გაჰქონდეთ იქ თავისი წარმოების საქონელი და იყიდოს აგრეთვე მათთვის საჭირო საგნები.

რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლება.

მოსკოვი. 29 მარტი. ვლადივოსტოკიდან იტყობინებიან, რომ იაპონიის პალატამ მიიღო კანონპროექტი რუსეთ-იაპონიის შორის სავაჭრო ურთიერთობის განახლების დაჩქარების შესახებ.

ფინეთ-რუსეთის ხელშეკრულება.

მოსკოვი. 29 მარტი. ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, რომ ფინეთის დელეგაციას განზრახული აქვს გაემგზავროს მოსკოვში აპრილის პირველ ნახევარში სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

რუსეთ-პოლონეთის კონფერენცია.

მოსკოვი 29 მარტი. რუსეთ-პოლონეთის სავაჭრო კონფერენციის მუშაობას საქმიანი ხასიათი აქვს. ზოგიერთი დაბრკოლებები მუშაობაში აიხსნება პოლონეთის დელეგაციის არა სრული შემადგენლობით და ვარშავიდან ინსტრუქციების მიღების აუცილებლობით. პოლონეთის დელეგაცია არ არის წინააღმდეგი რუსეთში არსებულ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისა.

ქვეყნის ბუნებრივ ძალთა შემსწავლის კონფერენცია

მოსკოვი. 27 მარტი. ქვეყნის ბუნებრივ და საწარმოო ძალთა შესწავლის სრულიად, რუსეთის კონფერენციამ დაადგინა, რომ აუცილებელია მოხდეს ტყის ახალი აღწერა და აგრეთვე გეოლოგიური გამოკვლევანი ურალის, ციმბირის, კავკასიის და თურქესტანის, კონფერენციამ გამოსთქვა აგრეთვე სურვილი დაარსებული იქნეს ბუნების და ნადირობის მეურნეობის დაცვის სრულიად რუსეთის კომიტეტი, ამასთან—მეტეოროლოგიური ქსელის გეგმაშეწყობილი ორგანიზაცია შექმნა და გამაგრება ჰიდრო სადგურების სახელმწიფო ქსელის და მრეწველობის იმ დარგთა განვითარება, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო მეურნეობის აღორძინებას.

27 მარტს კონფერენცია დასრულდა. საბოლოო სიტყვაში პროფესორ ალექსანდროვმა აღნიშნა, რომ კონფერენციამ გასწია დიდი მუშაობა მეცნიერების და მეურნეობის ორგანოებთა შორის კავშირის დასამყარებლათ. მხოლოთ სახელმწიფოებრივ მეურნეობაზე გადასვლის შემდეგ მეცნიერებას პირველათ მიეცა საშვალება პრაქტიკულათ მიუდგეს სახალხო მეურნეობის საკითხების გადაჭრას სახელმწიფო საგეგმო მმართველობის ინიციატივა ერთის მხრივ და მეორის—მეცნიერების მოღვაწეობა მოგვცემს შესაძლებლობას აღვადგინოთ რუსეთის მეურნეობა. დაარსდა განუწყვეტლივ მომქმედი კონფერენციის ბიურო შემდეგ შემადგენლობით: პროფ. ალექსანდროვი, აკადემიკოსი კურნაკოვი, აკადემიკოსი ლაზარევი, პროფ. ლევიცკი, პროფ. შოკალსკი, პალჩინსკი, კირილოვი და აკადემიკოსები ფერმანი, ოლდენბურგი და სრევენსკი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათუმი

სოციალური დაზღვევის სტატისტიკა. თებერვლიდან დამზღვევ კასასთან გაიხსნა სტატისტიკური განყოფილება, რომელმაც დაიწყო ყველა მონაწილეების საპირადო ბარათების შედგენა. ბარათში აღინიშნება ცნობები წლოვანობის, ეროვნების, განათლების ცენზის, პროფესიის, ქონებრივ მდგომარეობის, ბინის ჯანმრთელობის და სხვ შესახებ. ამ ჟამად შედგენილია 527 ასეთი ბარათი. 527 მონაწილისაგან წერაკითხვის უცოდინარებს შეადგენს 257. ამ რიცხვიდან მხოლოდ 227 კაცს აქვს დამაკმაყოფილებელი ბინა, ხოლო დანარჩენ 300 იმყოფება ცუდ პირობებში ასეთი საბინაო პირობებით ვრცელდება სნეულება და ხშირდება სიკვდილის შემთხვევები. ეს იწვევს ზედმეტ ხარჯებს დამზღვევ კასისათვის, რაც ძლიერ აბრკოლებს უკანასკნელის მუშაობას. ამის გამო ბათომში საბინაო საკითხის მოგვარებაში ძლიერ დაინტერესებულია დამზღვევი კასა.

სომხეთი

თესვის კომპანია. ალექსანდროპოლის მაზრის შვიდ რაიონში მოეწყო თესვის სამეულები, რომელთაც წინადადება მიეცა მოაწყონ სოფლებში სამეულები. მაზრაზე გადაცემული ხორბლეული განაწილებულია რაიონებათ: პირველს—12000 ფ. ხორბალი და 3000 ფ. ქერი, მეორეს—7000 ფ ხორბალი და 3000 ფ. ქერი, მესამეს—3000 ფ. ქერი, მეოთხეს—7000 ფ. ხორბალი და 4000 ფ. ქერი, მეხუთეს—6000 ფ ქერი, მეექვსეს—3000 ფ. ხორბალი და 3000 ფ. ქერი, სოფლის—6000 ფ. ქერი და ალექსანდროპოლს—2000 ფ. ქერი. ლორის მაზრაში ხანგრძლივი მშრალი ამინდების შემდეგ მოვიდა ხშირი წვიმები, რამაც საშვალება მისცა მცხოვრებთ შედგომოდნენ საგაზაფხულო თესვას. გლეხების სულიერი განწყობილება აქტიურია. განაწილებული თესლის რაოდენობა არ არის საკმარისი.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს პარტიის იმ წევრებს, რომელთაც ჯამაგირები მიღებული აქვთ განაკვეთებზე ზევით, შეიტანონ თავის დროზე ტფილისის კომიტეტთან არსებულ ურთიერთ დამხმარე კასაში ზედმეტის 50 პროცენტი. კომუჯრედების მდივნებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ ვალდებულების შესრულებას თავიანთ უჯრედების წევრთა შორის. იმ ამხანაგების გვარები, რომლებიც არ შეასრულებენ წესიერად ამ დირექტივებს, გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში.

ტფ. კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს იაჩეიკის 25 წლის თავზე

(ამხ. ბუნტიკოვის (ბოლშევიკური პარტიის წევრის 1904 წლიდან) მოგონებანი).

ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მე დავჰყავი 10 წლიწადი და სადაც გაგზავნილი ვიყავი გორის ორგანიზაციის საქმისათვის 1917 წელს მე დამხვდა ტფილისში ბოლშევიკებიდან ვაშაკიძე და შენგელია რკინის გზის კომიტეტის სათავეში. 1918 წლის თებერვლიდან მე დავიწყე მუშაობა რკინის გზაზე და ვეწეოდი პარტიულ მუშაობას ხაზზე. რკინის გზის სამმართველოში დამხვდა მხოლოდ ერთი ბოლშევიკი ამხ. ელბაქიძე, რომელთანაც ერთად დავიწყე ბრძოლა მაშინ გაბატონებული მენშევიზმის წინააღმდეგ. ამავე დროს რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში და დეპოში ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა რთველაძე, ქავთარაძე, ციმაკურიძე მერდალაშვილი. არალეგალური კომიტეტი იკრიბებოდა ვაშაკიძესთან მენშევიკ თვალის მოსატყუებლათ ორგანიზაცია ლეგალურად მოთავსებული იყო ჩერქეზ. ქუჩაზე № 135, ანტონოვის სახლში; გამგედ იყო ამხ. ზაქრაძე. საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით შემდგარი იყო კომისია ამხ. ვაშაკიძის, ჯეჯელავასი და ჩემი შემადგენლობით. ხაზზე მოწყობილი იყო ჯგუფები და მოწვეულ იქნა არალეგალური კონფერენცია ამხ. ვაშაკიძის ბინაზე. ამ კონფერენციაზე გადაწყვეტილი იყო დაგვეპყრა რკინისგზელების პროფესიონალური ორგანიზაცია

კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობდა კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ლადო დუმბაძე. არალეგალურ მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ამხ. კასიანი და ნაზარეტიანი. 1919 წლის გაზაფხულზე მოწყობილ იქნა პარტიის ამიერ-კავკასიის ყრილობა. ამ არალეგალურ ყრილობის მოწყობაში მონაწილეობას ღებულობდა ამხ. ელბაქიძე.

ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობდა ამხ. მ. ოკუჯავა და ფ. მახარაძე. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება აწარმოოს ფართო ბრძოლა ძალა უფლების დასაპყრობათ. ყრილობის გათავების შემდეგ გაძლიერდა რევოლიუციონური მოძრაობა, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ადგილი ქონდა გლეხთა მრავალ აჯანყებებს.

1919 წ. შესდგა ისტორიული სხდომა ტფილისის კომიტეტისა საოლქო კომიტეტის წევრთა დასწრებით. ამ სხდომას დაესწრენ ამხ. ბარონი, ილიკო მგელაძე, ვაშაკიძე, ფ. მახარაძე, მ. ტოროშელიძე და სტურუა.

მიღებულ იყო გადაწყვეტილება მენშევიკების წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებაზე (ბრძოლაზე) გადასვლის შესახებ ძალაუფლების დასაპყრობათ. 1919 წ. მენშევიკების მიერ დაპატიმრებულ ვიქენ და მეტეხში მომათავსეს, სადაც 1 რაიონის და რკინის გზის სხვა მუშაკებიც წითელ არმიის შემოტევის და ბაქოს დაკავების შემდეგ, ჩვენ გაგვანთავისუფლეს.

კავკასიის საოლქო კომიტეტის მოწყობის შემდეგ ჩვენ გაგზავნილ ვიყავით ჩრდილოეთ კავკასიაში და აზერბეიჯანში. სადაც იქ დავიწყეთ მუშაობა რკინის გზის პოლიტიკურ განყოფილებებში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამდე.

ბუნტიკოვი.

მუშა-ქალთა დელეგატების საქალაქო კრება

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ 24 მარტს მოიწვია ქ. თბილისის დელეგატ ქალების კრება. მოხსენებით თემაზე „ქალთა მოძრაობა აღმოსავლეთში“ გამოვიდა ქალთა საერთაშორისო სეკრეტარიატს წევრი ამხ. **კასპაროვა.**

მომხსენებელი პირველ ყოვლისა მიესალმა თბილისის მუშა-ქალებს მათი დელეგატების სახით.

თავის მოხსენებაში ამხ. კასპაროვა ანვითარებს აღმოსავლეთში ქალთა მოძრაობის ამოცანების ძირითად დებულებებს. რომელიც უკვე გამოთქმული იყო მის მიერ „ზარია ვოსტოკას“ 8 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ქ. თბილისის დელეგატ ქალების კრებამ მოისმინა, რა ამხ. **კასპაროვას მოხსენება „აღმოსავლეთში ქალთა მოძრაობის შესახებ“ ესალმება მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს, ქალთა საერთაშორისო სეკრეტარიატს და რუსეთის კომუნისტურ პარტიას,** რომელმაც პირველათ აღმართა აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლების დროშა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შორს არ არის მშრომელ კაცობრიობის კაპიტალის ბატონობისაგან **მთელ მსოფლიოში** განთავისუფლების საათი და ამ განთავისუფლებულ კაცობრიობაში შევლენ აღმოსავლეთის განთავისუფლებული ქალებიც“.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისის ბირჟაზე.

29 მარტი.

ოქროს 10 მან. — — —	6750
გირვანქა სტერ. — — —	4150
დოლარი — — —	900
ლირა — — —	715
ამბ. ფულ. ნიშ. — — —	16

ვალიუტის კურსი ბათუმში.

ლირა	665, მ.
დოლარი	978 „
ოქროს 10 მან.	6218 „
ამბ. ფულის ნიშნ	16 „
გირვანქა სტერლ.	4722 „

სავალიუტო ბაზრის განწყობილება 29 მარტი.

დილიდანვე ბირჟის განწყობილება მოდუნებულია, ვალიუტის მიწოდება გაძლიერებულა, მოთხოვნილება სუსტია.

თბილისის ბაზრის ფასები.

ხორბალი ყუბანის—410—420, ადგილობრივი — 350—380, ფქვილი „კრუპჩატკა“—1150, ბრინჯი—2900—3000, შაქარი რაფინადი—31—32 ლირა, კარაქი ფ.—6800, სამზა—4 მან. და 25 კ.

ჯაგარის გატანის აკრძალვა.

რადგან ჯაგარის ძველი მარაგი შემცირდა და საბჭოთა რუსეთის ქარხნებს შეუძლიათ დაამუშავონ ჯაგარი, აიკრძალა უკანასკნელის გატანა საზღვარ-გარეთ.

თბილისის ბირჟის საქონლის განყოფილებაში.

მიწოდება. ტომრები, ბაწარი, თოკი, შპილკები ჩექმების, ყველი შვეიცარიის, თაფლი, კარაქი, მარილი, სპირტი, თუნუქი, მატყლი, პრობკა, ლურსმანი, თამბაქო, ხილის და ბოსტნეულის კონსერვები, ქუდი პანამა, ფქვილი ამერიკული, ბურღული, შინა—რუსული.

ბირჟის მოთხოვნილება

შაქრის ფხვნილი რუსული, ფქვილი „ნელსონი“, წუმწუმა რუს. თხილი—ზაქათალის, შაბიამანი, ხორბალი ადგილობრივი და ყუბანის, ფქვილი ყუბანის, სპირტი ამერიკ. 95° თუნუქი ინგლის. მატყლი, ბამბა, მავთული—№ 14, ჯაგარა კახეთის, მანუფაქტურა რუსული, შინა, ლურსმანი, გოგირდი „ბუდა“. შაბიამანი, თოკი, ზეწეული.

მაშვრალი ხალხი

ცეცხლის ტალღა სერავს ჰაერს. ცეცხლი ზეცას ემუქრება,
შინ მიილტვის მაშვრალთ ჯარი ძველი მხარე იწვის, ქრება.
ჩვენ დავამხეთ ბოროტება და ჩვენ ვეტრფით მზის ცელქ ციალს,
ჩვენ ბრძოლაში გავიზარდეთ ჩვენ შევხარით ცეცხლის გრიალს.
წინ! წინ გავსწევთ, სანამ გულში ბრძოლის ცეცხლი არ ჩაქრება,
სანამ თვალწინ აღთქმის მხარე კეკლუცად არ გაიშლება.

მიწის მუშავ! შენ ხომ გახსოვს ის წამება საშინელი,
ის დღეები უიმედო, ის დღეები მწარე, ბნელი,
როცა შენი შრომა-ოფლი ფუჭი იყო შენთვის ყველა,
შენ შრომობდი და შრომაში არსაიდან გქონდა შველა.
და დღეს, როცა ცეცხლის ტალღამ გადაბუგა ძველი მხარე,
როცა წითლად შეიღება ზღვა ზეცა და არე-მარე,
შენ ჩვენთან ხარ ჩვენთან იბრძვი—შენც გახარებს გამარჯვება.
და შენ გულში ბრძოლის ცეცხლი არასოდეს არ ჩაქრება.

მუშა ქალო! შენ ძარღვი ხარ სიცოცხლის და სიყვარულის,
შენ სხივი ხარ და ლამპარი მომავალი გაზაფხულის,
გახსოვს ცრემლებს, რომ აფრქვევდი, როცა ქარი სისინებდა,
როცა იყო უსასოო შენი ფიქრი და ოცნება...
როცა შენი წვა და შრომა სხვას არგებდა, სხვისთვის იყო,
იყავ მარტოდ და ეს სახე ნაღველ სევდით გამხდარიყო...
დღეს ხომ ნატვრა აგისრულდა, გაქრა ჩაგვრა და მონობა,
ჩვენც ვისწავლოთ წითელ ზღვაზე გაბედული ზღვაოსნობა.
თქვენც თქვენსა ძმებს შეუერთდით,—ხედავთ დროშა ვით ფრიალებს,
და ბრძოლისკენ, საბრძოლველად მოუწოდებთ მუშა ქალებს.

ცეცხლის ტალღა სერავს ჰაერს, ცეცხლი ზეცას ემუქრება,
წინ მიილტვის მაშვრალთ ჯარი ძველი მხარე იწვის, ქრება.
ჩვენ დავამხეთ ბოროტება და ჩვენ ვეტრფით მზის ცელქ ციალს,
ჩვენ ბრძოლაში გავიზარდეთ ჩვენ შევხარით ცეცხლის გრიალს.

აგრაფინა ბერიძე.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება ტფილისში

მეცნიერულ და კულტურულ საზოგადოებათ კვლავ ერთი ახალი წევრი შეემატა: **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება თფილისში.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას თან დაჰყვა პეტრიწის სახელწოდების საფილოსოფიო საზოგადოების დაარსება, ხოლო უნივერსიტეტის მე-5 წლის არსებობამ თავის წიაღიდან კვლავ წარმოშვა, სხვა მრავალ სემინარებსა და წრეთა გარდა, საენათმეცნიერო საზოგადოება.

კვირას, 18 თებერვალს, ვაჟთა 1-ლ ტეხნიკუმის შენობაში, დილის 9 საათზე, პროფ. **გ. ახვლედიანი ხსნის** მისივე ინიციატივით მოწვეულს დამფუძნებელ კრებას. დღის წესრიგში დგას საკითხი დაარსდეს წრე თუ საზოგადოება? აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა საზოგადოების დაარსება. აქვე პროფ. გ. ახვლედიანის მიერ წარმოდგენილი წესდების პროექტი ზოგიერთ დამატებით მიღებულ და დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების კრების და შემდეგ (15 მარტს) სამეცნიერო საბჭოს მიერ. არჩეული საბჭო შესდგება 5 წევრისაგან. საზოგადოების ნამდვილ წევრებად ითვლებიან: პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. გ. ახვლედიანი (თავმჯდომ.), პროფ. ა. შანიძე (თავმჯდ.), პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. დ. უზნაძე, დოც. მელიქსეთ-ბეგი, ს. გორგაძე, ვუქ. ბერიძე (სამივე სარევიზიო კომისიის წევრებია), ი. აბულაძე, მ. ჯანაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ს. ვახნაძე, დ. მგელაძე (ხაზინადარი), ბ. ჩიქობავა (მდივანი), ს. ჯანაშია, ს. იორდანაშვილი, მ. ხუბუა, ს. ჩხენკელი და ვ. თოფურია.

მიუხედავად თავის მოკლე ხნის არსებობისა, საზოგადოებაში სამი მოხსენება იქნა წაკითხული: 1. პროფ. **გ. ახვლედიანის** მიერ—ახლად აღმოჩენილი ინდოევროპიულ ენათა ნაშთები აღმოსავლეთ თურქესტანში; 2. **ბ. ჩიქობავას** მიერ—ეგრედ წოდებული „გრძელი ხმოვნები“ მთიულურში და 3. **ვ თოფურიას** მიერ—გომარული თქმის მორფოლოგია.

აგრეთვე განზრახულია სისტემატიურად წაკითხულ იქნეს შემდეგი მოხსენებები—

1. დოც. ლეონ მელიქსეთ-ბეგი—სომხური დიალექტი თბილისში, მისი ისტორია და ურთიერთობა ქართულთან. 2. პროფ. გ. ახვლედიანი —ენათმეცნიერება და გრამატიკა. 3. პროფ. გ. ახვლედიანი—ოსური სინტაქსიდან. 4. მისივე—ოსური მორფოლოგია. 5. ს. ყაუხჩიშვილი—ნ. მარის ახალი თეორიები. 6. ბ. ჩიქობავა—ფერეიდნული ქართული. 7. ბ. ჩიქობავა—მთიულური, 8. იმისივე—წინადადებათა შესახებ. 9. მ. ხუბუა—მეგრული ფონეტიკიდან. 10. ს. იორდანაშვილი—ოსური ფონეტიკიდან. 11. ს. ჩხენკელი—სვანური ფონეტიკიდან. 12. ვ. თოფურია—გომარული თქმის ფონეტიკა, სინტაქსი და ლექსიკა. 13. ვ. თოფურია —ქართული კილო. 14. მისივე—მრავლობითი რიცხვის სუფიქსები ძველს ქართულში.

გ. თ.

წესდება

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა (ტფილისში).

§ 1. საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს ენათა მეცნიერულ შესწავლას.

§ 2. ამ მიზნით საზოგადოება მართავს მოხსენებებს, აწყობს სამეცნიერო ექსკურსიებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებსა თუ უცხოეთში, აარსებს საენათმეცნიერო წიგნთსაცავს, უშვებს პერიოდულს და არა პერიოდულს გამოცემებს და სხვა.

§ 3. საზოგადოების წევრად—საბჭოს შუამავლობით—მიიღება ყოველი მოქალაქე, რომელსაც რაიმე ინტერესი გამოუჩენია საენათმეცნიერო ხასიათისა და ჰსურს პირადი შრომით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მუშაობაში.

§ 4. საზოგადოებას ჰყავს წევრები: ნამდვილი, საპატიო და დამხმარე. ნამდვილ წევრად ითვლება ის, ვინც საზოგადოების მიზანს ემსახურება პირადი შრომით; საპატიოდ—ვისაც რაიმე თვალსაჩინო სამეცნიერო ღვაწლი მიუძღვის ენათმეცნიერებისა ან რომელსამე მის მოსაზღვრე მეცნიერების დარგში; დამხმარედ—ვინც შრომით ან ნივთიერად ეხმარება საზოგადოებას.

§ 5 საზოგადოების ნივთიერ საშუალებას შეადგენს: საწევრო გადასახადი, მთავრობის დახმარება, შემოწირულებანი, საჯარო ლექციებისა და გამოცემათა შემოსავალი.

შენიშვნა: საწევრო გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს წლიური საზოგადო კრება.

§ 6. საზოგადოების მუშაობას ხელმძღვანელობს: საზოგადო კრება, საბჭო და სარევიზიო კომისია. საზოგადო კრება სამგვარია: წლიური, ჩვეულებრივი და რიგსგარეშე; მათი მოწვევა ხდება საზოგადო წესით.

§ 7. წლიურ კრებაზე განიხილავს საზოგადოების წლიური ანგარიში და ირჩევენ თანამდებობის პირთ. წლიური კრება მოიწვევა თებერვლის განმავლობაში; იგი კანონიერია, თუ მას დაესწრო ტფილისში მყოფ ნამდვილ წევრთა 1 | 3, ხოლო ჩვეულებრივი და რიგს გარეშე—თუ მას დაესწრო ტფილისში მყოფ ნამდვილ წევრთა 1 | 5.

§ 8. ჩვეულებრივს საზოგადო კრებას ექვემდებარება შემდეგი საქმეები: წევრთა არჩევანი, წესდებაში ცვლილებათა შეტანა და საზოგადოების მიმდინარე ანგარიშების დამტკიცება; მასზე იკითხება აგრეთვე მოხსენებები.

შენიშვნა 1. თუ წლიური კრების მოწვევამდი საბჭო ან სარევიზიო კომისიის შემადგენლობას გამოაკლდა წევრი, ახლის არჩევანი შეიძლება მოხდეს ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედაც. ამ შემთხვევაში საზოგადო კრებას უნდა დაესწროს ტფილისში მყოფ ნამდვილ წევრთა 1 | 3.

შენიშვნა 2. წესდებაში ცვლილებათა შეტანა შეუძლია მხოლოდ იმ საზოგადო კრებას, რომელსაც დაესწრება ტფილისში მყოფ ნამდვილ წევრთა 2 | 3.

შენიშვნა 3 ყოველგვარ კრებაზე საკითხი წყდება ხმის უბრალო უმეტესობით.

შენიშვნა 4. საზოგადო კრება—საბჭოს გადაწყვეტილებით—შეიძლება იყოს ღია ან დახურული.

§ 9. საბჭოს შეადგენენ: თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი, მოლარე და ერთი წევრი; სარევიზიო კომისია შესდგება სამი წევრისაგან; ყველანი ირჩევიან ერთი წლის ვადით.

§ 10. საზოგადოება იურიდიულ პირს წარმოადგენს; მას აქვს თავისი ბეჭედი.

§ 11. საზოგადოების დახურვა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საზოგადო კრებაზე, რომელსაც დაესწრება ტფილისში მყოფ ნამდვილ წევრთა 4 | 5; ამ შემთხვევაში საზოგადოების ქონება გადაეცემა ერთ ერთ ქართულ კულტურულ დაწესებულებას თანახმად ხსენებული კრების დადგენილებისა.

საქართველოს წ. ჯვრის საზოგადოება

საქართველოს წითელი ჯვრის წინაშე წამოიჭრა საკითხი რუსეთის ანალოგიურ საზოგადოებასთან კავშირის დაკავების შესახებ.

ეს საკითხი წამოაყენა ერთი მხრივ საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოებათა კონფერენციის მოახლოვებამ, რომელიც უნდა შედგეს ჟენევაში და მეორე მხრივ ჩვენი რესპუბლიკების საბჭოთა კავშირში შესვლამ.

ეს უკანასკნელი მომენტი თავის თავად არკვევს რესპუბლიკანურ წ. ჯ. საზოგადოებათა შორის დამოკიდებულების შინაარსსა და ხასიათს. მოძმე რესპუბლიკებს ამ შემთხვევაშიაც ძმური დამოკიდებულება უნდა ექნეთ. სხვანაირათ ეს არც შეიძლება.

სწორედ ასე აყენებს საკითხს რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოება და ურთიერთობისა და დამოკიდებულების ფორმის გამოსამუშავებლად. ა. წ. 15 მაისისათვის იწვევს მოსკოვში საბჭოთა რესპუბლიკების წ. ჯ. წარმომადგენელთა ყრილობას. ამ ყრილობაზე მიწვევის ბარათი მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამაც.

ყრილობაზე უნდა შეიქმნას საბჭოთა რესპუბლიკების წ. ჯ. საზოგადოებათა კავშირი. ამავე ყრილობაზე უნდა იქმნას გამომუშავებული საერთაშორისო წ. ჯ. ს. ჟენევის მე-10 კონფერენციაზე საბჭოთა რესპუბლიკების წ ჯ. ს. სამოქმედო გეზი. იქვე უნდა ჩამოყალიბდეს და გაირკვეს თუ რა სახით უნდა გამოვიდეს ცალკე რესპუბლიკების წ. ჯ. ს. საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ ვიცით რომ დღემდი საერთაშორისო ასპარეზზე გასულია მხოლოდ რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოება. მან თავის ენერგიული მუშაობით უკვე მიიქცია ევროპის საზოგადოებრივი აზრის ყურადღება რ. წ. ჯ. ს. დიდძალი დახმარება მოსდის ევროპის მშრომელებიდან.

ერთი სიტყვით ყრილობას მრავალი საჭირბოროტო საკითხები აქვს გადასაწყვეტი და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ყველა ეს საკითხები მშრომელი ხალხის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ გადაწყდება და ყრილობიდან ცალკე რესპუბლიკების წ. ჯ. საზოგადოებანი კიდევ უფრო გაძლიერდებიან.

გ. მეზუკი

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: ვისთან იდება შრომის ხელშეკრულება?

პასუხი: შრომის ხელშეკრულება იდება, როგორც კოლექტივებთან (ჯგუფებთან) არტელებთან, ისე განსაკუთრებულ პირებთან და სხვა.

კითხვა: რა უფლებებს აძლევს შრომის ხელშეკრულება მცირეწლოვან მომუშავეთ?

პასუხი: შრომის ხელშეკრულების ძალით და თვალსაზრისით მცირეწლოვანი სავსებით თანასწორუფლებიანი არიან სრულწლოვან დაქირავებულებთან. გარდა ამისა მათი მშობლებს ანუ ოპეკუნებს (მზრუნველებს) აგრეთვე დაწესებულებათა და თანამდებობის პირთ, რომელთაც აქვთ დაკისრებული და მინდობილი შრომის კანონების დაცვაზე თვალყურისდევნა, აქვთ უფლება მოითხოვონ შრომის ხელშეკრულების გაუქმება დანიშნულ ვადაზე ადრე, როდესაც აღნიშნულ ხელშეკრულების არსებობა და მისი მოქმედება სახიფათო და საშიშო ხდება მცირეწლოვანთა ჯანმრთელობისათვის.

კითხვა: ვინ აგებს პასუხს შრომის ხელშეკრულების ძალით იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნულ ხელშეკრულების დამდებელი (ადმინისტრაცია) არ წარმოადგენს იმ პიროვნებას რომლისათვის წარმოებს თვით მუშაობა და სხ.?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევებში შრომის ხელშეკრულებით პასუხისმგებელი არიან მხოლოდ და მხოლოდ ის დაწესებულებანი, წარმოებანი ან და პირნი რომელთათვის წარმოებს თვით მუშაობა.

კითხვა: რა ვადით არის შესაძლებელი შრომის ხელშეკრულების დადება?

პასუხი. შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდვას: ა) განსაზღვრული ვადის განმავლობაში, მაგრამ არა ნაკლებ ერთი წლისა, ბ) განსაზღვრული ვადის განმავლობაში და გ) იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა სამუშაოს წესიერად და კეთილსინდისიერად ასრულებისათვის.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება

თბილისის სადგურში არსებობს ეგრედ წოდებული „დაბალიკომისია“ („ნიცნაია კომისია“) რომლის მოვალეობას შეადგენს ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ და სამხრეთის რკინის გზის ხაზების ყოველ დღიურ შემოსავლის ჯამის გამოკვლევა, აღნიშნულ ფულების ანგარიში, წესიერად დალაგება, გადარჩევა და სხვა.

აღნიშნულ კომისიაში მუშაობს ორმოცამდე მუშა-მოსამსახურე ფრიად არანორმალურ პირობებში ყოველმხრივ. აქ არ არის დაცული არც რვა და არც ექვსი საათის სამუშაო დღე. კომისიაში მუშა-მოსამსახურე უნდა გამოცხადდეს აუცილებლად დილის 9 საათზე და სახლში კი ბრუნდება ის მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოხსენებულ ფულების ყოველდღიურ ოპერაციებს მოაგვარებს და ეს უკანასკნელი კი ჩვეულებრივად გრძელდება თითქმის ღამის 11—12 საათამდე.

მუშაობა კომისიისა სწარმოებს ფრიად ანტისანიტარული და არა ჰიგიენიური პირობებში.

ამ გვარად, აქ მომუშავეთ ყოველ დღე დიდი სიბინძურეში და სივიწროვეში (ოთახები ძალიან პატარაა) უხდებათ 4—5 საათობით ზედმეტი დროის მუშაობა, რომლის სრული გასამრჯელო მათ უნდა მიეღოთ არსებულ შრომის კანონების მიხედვით და ჩვენი პროფორგანოების და შრომის ინსპექტორის დაადასტურებთ—27 დეკემბერს 1922 წ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. იანვრის და თებერვლის თვეების ზედმეტ საათების მუშაობის გასამრჯელოა ჯამი თითქმის 50 პროც. შემოკლეს. სამმართველოს ადმინისტრატორებმა და მუშა-მოსამსახურეთ მიიღეს ნახევლოდ ნახევარი იმისა, რაც მათ აუცილებლად ერგებოდათ. ჩვენი ადმინისტრატორები თავიანთ მოქმედებას ასაბუთებენ იმით, რომ ვითომდა მათ არ ჰქონდეთ უფლება ფულის მეტი ჯამის გაცემისა—(თვეში არა უმეტეს 75 საათისა); მაგრამ ჩვენი ადმინისტრატორები სრულებით ივიწყებენ იმ ფაქტს, რომ გარდა ფინანსიურ პოლიტიკის და სისტემისა არსებობს აგრეთვე შრომის კანონები, რომელნიც მოითხოვენ შრომის ნორმალურ პირობების აუცილებლად დაცვას ნორმალურ ხელფასის მიწოდებით. მაგრამ იქ სადაც კი სამუშაო თავის ხასიათით და თვისებებით მოითხოვს განსაზღვრულ დროზე მეტს მუშაობას და ისიც არა ნორმალურ ჰიგიენიურ პირობებში, შრომის ხელფასი წესდება ამ პირობათა და ნამდვილად დახარჯულ შრომის ძალღონის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში შრომის ექსპლოატაციას ველარ ავსცილდებით, რასაც ცხადათ ვხედავთ რკინის გზის ფინანსიურ განყოფილების მოქმედებაში...

ჩვენი აზრით, ან სრულიად უნდა მოისპოს ზედმეტ საათის მუშაობა, ან და თუ კი ეს უკანასკნელი ამა თუ იმ დაწესებულებაში აუცილებლად საჭიროა, მომუშავეთ უნდა მიეცეთ დახარჯულ შრომის ენერგიის სრული ხელფასი და ამ რიგად დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს ის შეცდომა და უკანონობა, რომელსაც აქვს ადგილი ზემოხსენებულ კომისიაში მომუშავეთა მიმართ.

ინფ. კორ. ვასილიევი.

ღია წერილი

არტელ „მშრომელთა კომუნის“ სალიკვიდაციო კომისიას, თბილისის საქონლის სადგურის ადგილკომის ტრამოტას და შრომის კომისარიატს.

ამ წლის პირველ მარტიდან არტელ „მშრომელთა კომუნა“ გადავიდა „ტრამოტის“ ხელში. გადასვლის წინ, შტატის შემცირების სახით 17 კაცამდე დაგვითხოვეს. გვაქვს იმის სათანადო საბუთებიც, რომ ჩვენ არას დროს არაფერში შენიშნული არ ვიყავით. ამიტომ ვეკითხებით:

1. რატომ არ გვაძლევენ სალიკვიდაციო ფულს შრომის კანონის თანახმად?

2. თუ თბილისის საქონლის სადგურის 400 მდე მუშის შტატს ალემატებოდა ეს 17 კაცი, რატომ-იქნენ „მამიდაშვილობით და ნათლიაობით“ მიღებულნი დათხოვილ მუშების ადგილზე საეჭვო პირები?

3. სალიკვიდაციო კონფერენციაზე კრებამ დაადგინა დათხოვნილ მუშებს არამც თუ თბილისში, არამედ მთელ ხაზზე. თუ „ტრამოტა“ არ მისცემდა სალიკვიდაციო ფულს, ან კომისიას თვითონ უნდა დაეკმაყოფილებინა, ანდა სამსახურში დაეშვა. ეხლა კი დათხოვნილ მუშებს არც ფულს გვაძლევენ, არც სამსახურს, არც გარკვეულ პასუხს. „ტრამოტა“ სალიკვიდაციო კომისიასთან გვგზავნის, სალიკვიდაციო კომისია ადგილკომთან, ჩვენ, მუშები უმწეო მდგომარეობაში ვალმებით და ვათენებთ ადგილკომის კარების წინ. ამ ტანჯვაში გავიდა ერთი თვე და ვერავისაგან ვერაფერს გავხდით. მოვითხოვთ პრესის საშვალებით გვეცნობოს, ვინ უნდა მოგვეცეს სალიკვიდაციო ჯილდო, არტელმა თუ „ტრამოტამ.“ რათ იყვნენ მიღებული სამსახურში, საეჭვო და შენიშნული პირები, და რათ არის ზოგი ოჯახიდან ორი და სამი წევრი იმავე სამსახურში და ზოგი ოჯახის უკანასკნელი მრჩენელიც კი ქუჩაში დატოვებული?

ერთი დათხოვნილი მუშათაგანი.

ქრონიკა

საქართველოს ცენტ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმში.

— **დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარის დანიშვნა.** დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარის ამხ. ურუშაძის თანამდებობაზე სრ. საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომ. პრეზიდიუმის დადგენილებით დაინიშნა ამხ. გახოკია, ხოლო ამხ. ურუშაძე იმავე რევტრიბუნალში ბრალმდებელის თანამდებობაზე.

— **მიწად-მოწყობის პროექტი** პრეზიდიუმმა მოიწონა ქალაქებში მიწად მოწყობის პროექტი. პროექტი ვრცელდება აფხაზეთის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთოსეთის ავტონომიურ ოლქებზედაც.

— **შუამდგომლობა შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა** შუამდგომლობა აღძრა საქ. ცენტ. აღ. კომ. პრეზიდიუმის წინაშე, რათა ქ. მანგლისში მოქ. ვაჩნაძის სახლი გამოცხადებული იქნეს სახელმწიფო კუთვნილებათ.

ა. კ. საგ. ვაჭ. კომისარიატში.

— **შაქარი რუსეთიდან.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა რუსეთის შაქრის ტრესტთან დადებულ ხელშეკრულების ძალით უკვე მიიღო ბაქოში 16 ვაგონი რაფინადის შაქარი, აღნიშნულ შაქარს ამ დღეებში მოელიან ტფილისში.

შინაგან საქმეთა კომისარიატში.

— **ბრძოლა არაყის მალულათ მოხდის შესახებ.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა ყველა საქალაქო და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს დაუგზავნა ცირკულიარი, რათა ადმინისტრაციამ დიდი ყურადღება მიაქციოს ხილის და ჭაჭისაგან არაყის და სპირტის ფარულად გამოხდას და ყოველ გვარი დახმარება გაუწიონ არა პირდაპირ გადასახადთა სამართველოს თან მშრომლებს, ასეთ მოვლენასთან ბრძოლაში.

— **გადასახადების აკრეფისათვის.** იმავე კომისარიატმა განკარგულება დაუგზავნა ყველა მაზრების და ქალაქების აღმასკომებს, რათა უკანასკნელებმა რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეებთან ერთად ყოველგვარი ზომები მიიღონ სახელმწიფო გადასახადების ნარჩენების მარტის დასრულებამდე ასაკრეფად.

— **ბანდიტიზმი.** იმავე კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით გორის მაზრაში ტყვიავის გზა ტკეცილზედ ბანდიტებმა გაძარცვეს მგზავრები, მიღებულ ენერგიულ ზომებით სამი ყაჩაღი შეპყრობილია. სენაკის მაზრაში მოკლულია 27 მარტ ცნობილი ყაჩაღი მიხა გუგუნავა.

ტფილისის აღმასკომში

— **აგარაკების სახელმწიფო კუთვნილებით გამოცხადება.** პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შინაგან საქ სახ. კომისარიატის წინაშე მცხეთაში მდებარე აგარაკების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების შესახებ.

— **უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ.** აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინაშე, იუსტიციის კომისარიატმა გასცეს განკარგულება ყველა ნოტარიუსებისადმი, რათა ქალაქ ტფილისში მდებარე მიწის ნაკვეთების და სახლების ყიდვა-გაყიდვის შესახებ ნასყიდობის სიგელები არ შეკრან მოქალაქეებს შორის, ქალ. აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების ნება დაურთველათ.

— **ახალი გირები.** სასწორების შემმოწმებელ პალატამ დაადგინა წინადადება მისცეს სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს სალითონო განყოფილებას დაამზადოს სპილენძის და თუჯის გირები, რომლებიც გასინჯვის შემდეგ გამოშვებული იქნება სახმარებლად.

— **შრომის ბირჟის ბინის შეკეთება.** პრეზიდიუმის დადგენილებით დაევალა კომუნალურ განყოფილებას, სასწრაფოთ გამონახოს ახალი ბინა შრომის ბირჟისათვის. თუ ეს მოუხერხებელი გახდა, მოხდეს შრომის ბირჟის არსებული შენობის კაპიტალური შეკეთება.

— **მუშტაიდის ბაღი.** პრეზ. დაადგინა გადაეცეს რკ. გზის პრ. კავშირს მუშტაიდის ბაღი, დაევალოს საადგილ მამულო განყ. კომ. განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს გადაკემისათვის ხელშეკრულების პროექტი,

— **ბაღი „სტელლა“.** ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა გადაეცეს საქ. პროფ. კავშ. საბჭოს მუშათათვის უფასო გასართობების მოსაწყობათ ბაღი „სტელლა“, მისი უვნებლათ შენახვის გარანტიით.

განათლების კომისარიატში.

— **სამძიმრის დეპეშა ოვანეს თუმანიანის ოჯახს.** განათლების სახალხო კომისარიატმა ახლახ ნ გარდაცვლებულ სომეხთა ცნობილ პოეტის ოვანეს თუმანიანის ოჯახობას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატი ღრმად დამწუხრებული თავისუფალ ერების და მშრომელი ხალხის მხცოვანი პოეტის ოვანეს თუმანიანის უდროოთ გარდაცვალების გამო მოგიძღვნით თქვენ—ამ მწუხარე განცდის ჟამს—გულწრფელ თანაგრძნობას. დეე იყვეს თქვენი მწუხარების შემამსუბუქებელი ის რწმენა, რომ დიდი პოეტის საერთაშორისო ჰანგები და შეუდარებელი წინასწარმეტყველება კავკასიის ხალხთა ძმობა-ერთობისა და სოლიდარობისა კიდევ დიდხანს აანთებს მშრომელი ხალხის გულს თავისუფლებისა და ძმობა-ერთობის სიყვარულით“.

— **განათლების კომისარიატი და ბინების საკითხი.** თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, განათლების კომისარიატმა შეადგინა კომისია ამხ. ევ. მამულაიშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა სასწავლებლებში კერძო პირების ოჯახების განტვირთვა. ამ მიზნით კომისიამ გაანთავისუფლა იმ პირებიდან, რომლებსაც საერთო არაფერი ქონდა სასწავლებლებთან 1-ლი, მე-3, მე-8 ტეხნიკუმების და მე-3 პროფ. სკოლის ბინები,

— **დადგენილებები.** სოცი. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა ახლო მომავალში გახსნას სახლი „კომუნა“, სადაც იქნებიან მოთავსებულნი სასკოლო ასაკს გადასულნი ბავშვები საბავშო სახლებიდან. აღნიშნულ სახლის გასახსნელად მიღებულია ზომები სათანადო ბინების საშოვნელად.

— **„მათემატიკა და პაწაწებისთვის“** რედაქციამ მიიღო „განათლების მუშაკთა სახლის“ გამოცემა „მათემატიკა პაწაწებისთვის“ რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.

უზენაესი ტრიბუნალის სესიის გამგზავრება.

— აღმოსავლეთ საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალის პლენუმის დადგენილებით სესია ამხ. კაჭარავას თავმჯდომარეობით და ამხ. ამხ. ბოლქვაძის და წივწივაძის მონაწილეობით გაემგზავრა ქ. ქ. ცხინვალში და გორისკენ, სადაც ის გაარჩევს შემდეგი მოქალაქეთა საქმეებს:

ქ. ცხინვალში.

— მოქ. მოქ. კასრაძე გ. ი., გოგინოვი ს. ი., კოკოევი დ. ს., და მაისურაძე ი. ზ., რომელთაც ედებთ ბრალი **კომუნისტებ ს დ ხვრეტაში.** ვარსანოვი კ. ზ., სანაქოევი ვ. თ. და პარასტანოვი მ. კ., რომელთაც ბრალი ედებათ **თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში** და ბაბიევი ე. ა., (**ედება გასიევის მკვლელობა.**)

— **ქ. გორში.** მოქ. მოქ. მურადოვი გრ. ზ. **თანამდებობის გადაჭარბებისათვის;** გასიევი ა. გ., რომელსაც ედება ბრალდება საბჭოთა ხელისუფლების და **სახალხო სასამართლოს შეურაცყოფაში.** მესტაფიშვილი ი. ს. (**ბრალი ედება მექრთამეობაში**); სარახატუნიანცი არ. დ, (**ბრალი ედება ხელისუფლების შეურაცყოფაში**); შოშიაშვილი ს. ი. და სვიმონიშვილი შ. გ. (**ორივეს ბრალი ედებათ მკვლელობაში გაძარცვის მიზნით**); წივწივაძე მ. ა. (**ბრალი ედება სამსახურის ბოროტად გამოყენებაში**); ტიბილაშვილი რ. ბარ., ტიბილაშვილი გ. ბარ, ტიბილაშვილი თ. პ., ტიბილაშვილი ს. ალ. (**აღნიშნულ პირებს ბრალი ედებათ მოქ. ჩინჩილაშვილის ოჯახობის მოკვლაში**).

— **„Терновый Куст“** ქართულათ. დ. აიზმანის რევოლიუც. პიესა „Терновый Куст“ („ეკლიანი ბუჩქი“) თარგმნილია ქართულ ენაზე გიორგი ჩარხიშვილის მიერ.

სხვა და სხვა.

— **საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.** კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრალურ გამგეობამ 27 მარტის სხდომაზე დაადგინა: გაიღოს კავშირის თანხებიდან 50 მან. ოქროთ საჰაერო ფლოტის „ზარია ვოსტოკას“ სასარგებლოდ. წინადადება მიეცა ყველა ადგილკომებს გადასდოს თავისუფალ შემოსავალ თანხიდან თავისი წვლილი ამ მიზნისათვის. ამას გარდა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ გატარებულ იქნეს ფართე კომპანია კავშირის წევრთა შორის.

— **ტრამვაის ტარიფის გადიდება.** ამავე კავშირის მიერ განზრახულია ტრამვაიაზე ტარიფის გადიდება 20-50 პროც. რის შესახებ უკვე შემუშავებულია პროექტი და ის ამ დღეებში წარედგინება განსახილველად სადაც ჯერ არს.

ხელოვნება

— **კომპ. დიმიტრი არაყიშვილის საღამო.** შაბათს მარტის 31-ს, მე-2 სახელ. კონსერვატორიაში გაიმართება საღამო დიმ. არაყიშვილის ნაწარმოებთაგან. მონაწილეობენ სახელმ. ოპერის საუკეთესო ძალები, მე-2 კონსერვატორიის პროფესორები და ამავე კონსერვატ. მოწაფეთა გუნდი. შესრულებული იქნება პირველათ კვარტეტის მიერ პრელუდია და ფუგა. იმღერებენ დ. არაყიშვილის ახალ ოპერა „ლუარსაბ-ყარამანდულიდან“ სხვა და სხვა ნაწყვეტებს. გუნდი შესრულებს ამავე ოპერიდან „ლუარსაბის ქება“-ს, ხოლო მომღერალი ქალი ტერ-დანელიანი—„მდინარა“-ს არიას. დირიჟორობს თვით ავტორი.

პროვინციაში

დაბა ჩოხატაური.

18 მარტს ჩოხატაურში მოწვეული იყო მიტინგი საფრანგეთის კომუნის 52-წლის აღსანიშნავათ, მიუხედავათ ცუდი ამინდისა მიტინგს ხალხი ბლომათ დაესწრო. მომხსენებლათ უნდა ყოფილიყო მაზრიდან გადმოგზავნილი ამხანაგი, მაგრამ სამწუხაროთ ვერ დაესწრო, რის შემდეგ ადგილობრივმა ამხანაგებმა მოკლეთ გააცნეს ხალხს დღესასწაულის მნიშვნელობა. ერთხმათ იქნა მიღებული წინადადება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში დატყვევებული კომუნისტების დასახმარებლათ ფულის შეგროვების შესახებ. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა რამოდენიმე დღეში მოაწყოს წარმოდგენა ფართო ხასიათის და მიიღოს სხვა ზომებიც ამ მიმართულებით.

ხ. ც—ძე.

ნოსირის თემი (სენაკის მაზრა).

ამ თემში მიწის რეფორმა ჩატარდა რაც შეიძლება ნორმალურად, მაგრამ ჩემი მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას: საერთოდ თავადები დასახლებულ არიან თვალსაჩინო, მდებარეობით მაღლობ და წყალისგან ახლო მდებარე ადგილებზე, ხოლო მათი ყოფილი მონა-ყმები დაბალ და ჭაობიან ადგილებზე. ზაფხულობით რამდენჯერ იწვიმებს, იმდენჯერვე გადარეცხს გლეხების ეზოებს ნაპირიდან გადმოსული მდ. ტეხურის წყალი, არის ერთი კვილ-ყიჟინა. ბოსტნეული გლეხებისათვის სანატრელ რამეს წარმოადგენს, რადგან გადმოსული წყალი ან წალეკავს, ან ძირიან-მიწიანად გადათხრის. ამავე დროს ვეებერთელა ეზოები დადიანის, ჩიჩუების და ჩიქოვანების ჯერ-ჯერობით ხელ უხლებელია. მეფის დროინდელ მდგომარეობას ფერი არ უცვლია. ჩემის აზრით, ამ თვალსაჩინო ადგილების ნაწილის დროებით სამუშაოს სახით გლეხებზე გადაცემა, ზემოაღნიშნული მდგომარეობის დროის დამაკმაყოფილებლად არ მიმაჩნია. რომ ფეოდალურ ნაშთებს სრულიად ბოლო მოეღოს და ამაში დარწმუნდეს გლეხობაც, საჭიროთ მიმაჩნია ხსენებული ფეოდალების დიდებული ეზოები დანაწილდეს თითო ქცევა სამოსახლო ეზობად და დაურიგდეს ზემოაღნიშნულ მდგომარეობაში მყოფ ამ თავადების ყოფილ ყმებს სამოსახლოდ. მასთან, თუ საჭირო იქნება, ყოფილ მეპატრონეებსა იმდენი დაეტოვოს საეზოვოდ, რამდენიც სხვა გლეხებს, ხოლო სახნავ-სათესი ადგილი კი სხვაგან საერთო წესით მიეცეს. ამით გლეხის ოჯახებს ეცილდება მდინარის მუდმივი შიში, მასთან გლეხობა უფრო მაგრათ დაეპატრონება რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებას და სავალდებულოდ გაიხდის მის დაცვას.

გლეხიშვილი.

ბანძის თემი.

12 მარტს ადგილობრივი პარტორგანიზაციის ინიციატივით მოწვეულ იქნა ბანძის თემის საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო აგრეთვე მუშურ-გლეხური მოსწავლე ახალგაზრდობა. დღის სრულ 2 საათზე ბანძის საბჭოთა თეატრის დარბაზში საერთო კრება გახსნა ბანძის თემის კომიტეტის პას. მგ. მდივანმა: ამხ. ლევან მაისაიამ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ კრების მიზანი.

თებერვლის რევოლიუციის 6 წლის თავის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს, ბანძის კომპარტიის სახელით ამხ. აკაკი გაგუა, რომელმაც გასაგებ ენით და პოპულიარულათ გააშუქა საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობა—პოლიტიკურ ეკონომიურ—აღმშენებლობის ყველა დარგებში.

გამოტანილ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: ჩვენ ბანძის თემის საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენი გამოვსთქვამთ რა ღრმა პროტესტს—მთელი მსოფლიო ექსპლოატატორების წინააღმდეგ, ფიცსა ვსდებთ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ჩვენი წითელი რესპუბლიკები როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრისაგან და ვიქნეთ მუდამ ფხიზლათ რევოლიუციონურ სადარაჯოზე მუშათა კლასის დაცვის საქმეში.

გაუმარჯოს მრავალ-წლის ბრძოლაში გამობრძმედილ მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა თავგანწირულ მებრძოლ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს კომინტერნს!

კომკავშირის წევრი **კირილე პატარაია.**

წერილები რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ჩემს სრულიად გულწრფელ განცხადებას.

მე, გრიგოლ ნიკიფორეს ძე აბრამიას, 1917 წელს რევოლიუციის პირველ დღეებში ძლიერ დიდი წყურვილი მქონდა გავცნობოდი მარქსის თეორიას და ამ მიზნით შევედი ახალგაზრდა მარქსისტების წრეში და ვფიქრობდი, რომ იქ ჩემ წყურვილს დავიკმაყოფილებდი. მაგრამ, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, სასტიკათ მოვსტყუვდი ანგარიშში. რა ვიხილე მე ამ წრეში?! მარქსიზმი, სწორით გაგების მაგიერ იქ მახინჯდებოდა წარმოუდგენელ სისულელემდი ისე, რომ ბოლოს და ბოლოს მარქსიზმის მაგიერ რჩებოდა კონტრრევოლიუციონური იდეა. ამის შემდეგ ამ წრეში ყოფნა დიდ შეცდომათ ჩავთვალე და 1918 წელს საბოლოოთ და სამუდამოთ მივატოვე ის. ამის შემდეგ, თუმცა მე არც ერთ პარტიაში არ შევსულვარ, მაგრამ დავიწყე შეგნებული ცხოვრება.

თვითშეგნების გზით მე მივედი დასკვნამდი, რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც მიდის სწორი გზით და იცავს პროლეტარიატის ინტერესებს, არის კომუნისტური პარტია, რომელსაც მე თანაუგრძნობ გულწრფელად. სურვილი მაქვს შევიდე ამ პარტიაში, მაგრამ რადგან ვიცი თუ როგორ მკაცრია ის ახალი წევრების მიღების საკითხში ამიტომ ვმუშაობ მის გარეშე, რომ დავიმსახურო ამ პარტიის წევრობის უფლება.

ამის შესახებ მე ვერ მოვახერხე თავის დროზე განმეცხადებია და ამიტომ დღეს გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს გულწრფელ განცხადებას.

გრ. აბრამია.

1923 წ. 10 მარტი.

—

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთის უახლოეს ნომერში ჩვენს განცხადებას. ჩვენ ვიმყოფებოდით მენშევიკურ პარტიაში 1919 წლამდე.

მაგრამ როდესაც დავინახეთ, რომ მან ვერ შესძლო მუშების და გლეხების ინტერესების დაცვა, ჩვენ დავდიქით პარტიის გარეშე. დღეის რიცხვიდან გამოვდივართ საბოლოოთ და ვაცხადებთ საყოველთაოთ საბჭოთა მთავრობის და მუშურ გლეხური ხელის-უფლების წინაშე, რომ ჩვენ სრულიათ თანაუგრძნობთ და უერთდებით არსებულ მუშურ გლეხურ ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას, რადგანაც მათ აშკარათ დაამტკიცეს, რომ არიან მუშების და გლეხების ინტერესების ნამდვილი დამცველნი. ხელს ვაწერთ ნიგოითის თემის მცხოვრებნი: 1) **თეოფილე წილოსანი,** 2) **ვალიკო კაჯახიძე,** 3) **ივლიანე არჯევანის ძე ფირცხალაშვილი.**

—

ამხ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ჩემს განცხადებას ალაგი დაუთმოთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

1902 წლიდან მე ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. 1905 წლიდან ოჯახური პირობების გამო არ მიმიღია არავითარ პარტიულ მუშაობაში მონაწილეობა. ვღებულობ რა მხედველობაში დღევანდელი მენშევიკური პარტიის მოქმედების გეზს, არ მიმაჩნია ის სწორათ და ჩემი თანაგრძნობა თანდათანობით იხრება კომუნისტურ პარტიისაკენ, რომლის ხანმოკლე მუშაობამ სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ბევრ სასურველ შედეგებს მიაღწია. ამიტომ მე, როგორც სოფლის გლეხი კაცი, დღეიდან ვეცდები შეძლებისდაგვარათ ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

ვლადიმერ ივანეს ძე ხანთაძე.

ს. დვაბზუ 1923 წ. 12 მარტი.

—

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ პატარა წერილს თქვენს გაზეთში.

წარსულ ხანებში ვემსახურებოდი მენშევიკურ მთავრობას, მაგრამ როცა გამტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, მეც შევიგნე ვინ ყოფილა მუშის ნამდვილი მტერ-მოყვარენი, ამიტომ სამუდამოთ ვგმობ მენშევიკებს და მხარს ვუჭერ კომუნისტურ პარტიას.

ნ. გალოგრე.

—

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთ „კომუნისტი“-ს უახლოეს ნომერში დაუთმოთ ალაგი შემდეგს:

1903 წლიდან მე ვიყავი სოც. დემ. პარტიის წევრი, მხოლოდ. როდესაც ჩვენში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, იმ დღიდანვე დავანებე თავი პარტიას და საზოგადოთ ყოველივე პოლიტიკურ ბრძოლას. მე ასე გადავსწყვიტე: თუ რომ პროლეტარიატს და მის მთავრობას—საბჭოთა ხელისუფლებას აქტიურ დახმარებას ვერ გაუწევ, ქეიანიც ხელს აღარ შევუშლი იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებს მუშათა კლასის ყველა მტრების წინააღმდეგ მეთქი. და ეს ორი წელია ვდგევარ ყოველივე პოლიტიკურ მუშაობის გარეშე. მარა ასე დიდხანს ყოფნა ჩემთვის ტანჯვაა და აი მეც ვუერთდები კ. გოგოლაძის და ფოთელი მოქალაქეების მოწოდებას და მათთან ერთად მეც მოვუწოდებ ამ იდეის მომხრეებს სიტყვა საქმეთ ვაქციოთ და გამოვნახოთ კომუნისტურ პარტიასთან საერთო ენა, რაც ჩემის აზრით სრულიად შესაძლებელია.

თუ ჩვენ გულწრფელი სოციალისტები ვართ, ჩვენ უნდა ვიყოთ მუშათა კლასთან იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიას იერიში იერიშზე მიაქვს მასზე.

კალენიკე ჟღენტი.

1923 წ. 29 მარტი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 10.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოსი.

1923 წ. მარტის თვეში პასუხისმგებელ მუშაკთა განაკვეთის შესახებ.

მარტის თვეში პასუხისმგებელ მუშაკთა სატარიფო განაკვეთი, ამა წლის თებერვლის ხელფასთან შედარებით, გადიდებულ იქნას 17-ი პროცენტით.

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში.
ა. იაშვილი.
საერთო საორ. განყოფილების გამგე.
დ. ქურდოვანიძე.
27 მარტი 1923.

—

დადგენილება № 11.

ა/კ. შრ. სახ. კომ რწმუნებულის სამმართველოსი საქართველოში.

1923 წ. მარტის თვეში შრომის ხელფასის მინიმუმის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. 28 მარტის დადგენილების განსავითარებლათ ა/კ. შრ. სახ. კომ. რწმუნებულის სამმართველო საქართველოში ადგენს:

1. ა. ს. ს. რ-თვის 1923 წ. მარტის თვეში დაწესდეს შრომის ხელფასის მინიმუმის შემდეგი რაოდენობა: 100 პროც. სატარიფო ზოლისათვის—2.625 000 მან. 90 პროც. სატარიფო ზოლისათვის—2.362.500 მან. 80 პროც. სატარიფო ზოლისათვის—2 100.000 მან.

2. ამა დადგენილებით დაწესებული თვიური სასყიდლის ნორმალურ სამუშაო დროის შრომის ხელფასის მინიმუმი სავალდებულოა, რომლის ნაკლების გადახდის უფლება არ აქვს არც ერთ სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებას,

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიეცემიან სასამართლო პასუხისგებაში.

ა/კ. შრ. სახ, კომ. რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.
საერთო საორგან. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე
29 მარტი 1923 წ.

—

განმარტება

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოსი.

მარტის თვის მეორე ნახევრისათვის (25 მარტისათვის) საქონლის ფასის გამომხატველ მანეთის კურსის შესახებ გაცემულ ცნობების მიხედვით, მარტის მეორე ნახევარში ხელფასის გაცემამ უნდა იწარმოოს იმ კოლექტიურ ხელშეკრულებებით, რომლებშიაც მოხსენებულია, რომ ხელფასი გაიცემა თვეში ორჯერ, ცალ-ცალკე, თვის 1-ლ ნახევარსა და მე-2-ე ნახევარში, საქონლის ფასის გამომხატველ მანეთის არსებულ კურსის მიხედვით, ან რომლებშიაც აღნიშნულია, რომ ანგარიშის გასწორება ხდება თვის 10 და 25 რიცხვებში არსებულ კურსის მიხედვით.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მაგ. საქართველოში
ა. მიქაძე.
საერთო-საორგან. გან. გამგე
ლ. ქურდოვანიძე.
29 მარტი 1923 წ.

—

ცირკულიარულად

ტფილისის ყველა სამილიციო რაიონების უფროსებს.

სარწმუნო წყაროებიდან დადასტურებულია, რომ ქალაქის ფარგლებში აქვს ადგილი შემჩნეულ პირთა ბინ დრობას, რომელთაც დაეძებენ როგორც სისხლის სამართლის მაძებარი მილიცია, ისე სხვა ადმინისტრატიული ორგანოებიც. ასეთი მდგომარეობის გ. მო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოქალაქეებზე პირადობის მოწმობების გაცემას და ამის გამო წარმოებულ კვლევა-ძიებათა მოხდენას განსაკუთრებული სიფრთხილით და ყურადღებით მოვეპყრათ, რათა მოწმობები არ იქნ ს მიღებული არა კეთილსაიმედო პირების მიერ. სამწუხაროდ რაიონების უფროსებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ზემოხსენებულ მდგომარეობის ანგარიშის გაწევის საჭიროება. ამით უნდა იქნას ახსნილი ის გარემოებაც, რომ ერთი რაიონის უფროსი შუამდგომლობდა № 1 გამასწორებელ სახლიდ 6 გაქცეულ პატიმარზე პირადობის მოწმობის გაცემას. რათა მომავალში ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს, კატეგორიულ წინადადებას ვაძლევთ მოქალაქეებზე პირადობის მოწმობების გასაცემათ აღძრულ შუამდგომლობებში ყოველ მიუხ დაცულ იქნეს შემდეგი წესი:

1) მთხოვნელისაგან უნდა წარმოდგენილ ა) [illegible] კეთილსაიმედობის ცნობა სისხლის სამართლის მაძებარ მილიციიდან, გ) სამხედრო აღრიცხვის ბარათი, დ) ძველი ვადაგასული პირადობის მოწმობა, ე) თუ უკანასკნელი დაკარგულია, გაზეთში გამოცხადების ქვითარი, რომელშიაც უნდა აღნიშნულ იყოს დაკარგული პირადობის მოწმობის №-რი. თუ თეულ აქ ჩამოთვლილ საბუთების შესახებ უნდა იყოს შეტანილი სათანადო ცნობ კვლევა-ძიების ოქმში, დანარჩენ შემთხვევაში აქამდის არსებული წესი კვლევა-ძიების მოხდენის რჩება უცვლელად, რაიც გად ველად და სისწორით უნდა ტარდებოდ ცხოვრებაში.

2) ყოველგვარი შუამდგომლობის აღძ მოქალაქეებზე პირადობის მოწმობების გაცემის შესახებ უნდა სწარმოებდეს რაიონ ბის უფროსების პირადი პასუხისმგებლ ქვეშ.

3) პირადობის მოწმობა მიეცემა მხოლ მთხოვნელს პირადათ, და მილიციის თა შრომელთ ან სხვა რომელიმე პირზე გაცემა ყოვლად დაუშვებელია.

თუ მომავალშიაც კიდევ ქნება ადგ რაიმე გად ხვევას კვლევა-ძიების მოხდ წესში ან და დაშვებულ იქნება ზემოხსენ მაგალითის მსგავსი მოვლენა, დამნაშავე ონის უფროსის წინააღმდეგ მიღებულ ბა სასტიკი ზომები.

ტფილისის მილიციის უფროსი ზმაილ ნცელარიის დრ. უფროსი გამცემლ

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის წევრებს—პოლონელებს და პოლონურ ენის მცოდნეებს, ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდნენ რეგისტრაციაზე ტფილისის კომიტეტის საალრიცხვო ქვეგანყოფილებაში.

რეგისტრაცია წარმოებულ იქნება 27 მარტიდან 2 აპრილამდე. დილის 9 საათიდან—დღის 3 საათამდე.

ახალგ. კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანი ადამიანი.
რ. ჯ. კ. ცეკას რწმუნებული ტფილისში სამუშაოთ გუსტირ-სტუპნიცკი.

— 1 აპრილს, კვირას, 11 საათზე განათლების მუშაკთა სახლის ბინაზე,—კოლუბანის ქუჩა № 3,—შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის კომუნისტ წევრთა საერთო კრება.

დასწრება სავალდებულოა პარტიულ დისციპლინის წესით.

ფრაქციის მდივანი შავერდოვა.

— პარასკევს, 30 მარტს, დღის 2 საათზე ს ხელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება კომ-უჯრედის ღია კრება. სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის დენტებს, კომუნისტურ კავშირ. წევრ კანდიდატებს—კომ-კავშირის დის ძალით ევალებათ კრებას დაესწრონ.

პასუხისმგებელი მდივანი პ. ცაგარ

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლ

პარასკევს, 30 მარტს, საღამოს 7 რუსული ენის სექციაში—1) ზერის ბა თემაზე: „მეტაფორისა და თანამედროვე გაგება, 2) ვოლკოვის ბა თემაზე: „პრაქტიკული მუშაობა ბავშვების წარმოდგენის გამოსაკვლევ

ქართული ენის სექციაში, ნადირაძ სენება—„შრომის აღზრდის საკით გოგიკის ისტორიაში“.

— იმავე დღეს საღამოს ხუთ საათ ნიკურ თანამშრომლებისათვის პ ლექცია რუსულ ენაზე: „მსოფლიოს შობის შესახებ“.

— შაბათს 31 მარტს პედაგოგიურ ციაში, საღამოს 7 საათზე კოლ მოხსენება თემაზე—აღზრდის პრაქტ ის გაგებით.

— ორშაბათს 4 აპრილს საღამოს ათზე პედოლოგიურ სექციაში— ძის მოხსენება თემაზე: ბავშვის გა მეთოდები.

განცხადებები

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 282—1—1

დღეს, 30 მარტს. გასტროლი იტალიელ ცნობილ მსახიობის
ე. ვაგის
—ოტელო—
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

შავი-ქვის მრეწველო
საბჭო
იწვევს ჭიათურის საავადმყოფოსათვის ჩამომვლელ-
ლატორიო
ექიმს-თერაპევტს.

უპირატესობა მიეცემა იმ ექიმს, რომელსაც გა
რითადისა, ეცოდინება სხვა სპეციალობაც.

ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება მრეწველთ
ტფილისი, ტროცკის ქუჩა № 20, დილის 10 ს.—3 საათამდე.

განცხადება curriculum vitae მიიღება 5 აპრილს დღის 3

იყიდება კარგათ მორთული
სახლი
გალით
ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს,
მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2.
401—10—

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ
ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის
ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტ
გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალ
მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონ
კაბინეთი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 28. (284—

დაიკარგა ლიუბოვ ნიკიტინას სახელზე გაცემული შრომ
ქის წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული მუშათა
ტიდან № 316 ფრანგიშვილი ვარლამ
ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. ჯ. ც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა [illegible]